ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 10 დეკემბერი, 2020 №255 (8519) ფასი: 60 თეთრი

ალეკო ელისაშვილი: „ბოკერიას ფოთში თავი მოეჭრა, მხოლოდ 6% აილო და ახლა ყველაფერს ურევს“

გვ.2

„რიგგარეშე არჩევნები ივანიშვილსაც უნდა“

ლადო სადღობელაშვილი: „ივანიშვილი კრიზისს ქმნის“

გვ.3

ხათუნა გოგორიშვილი: „არ ვიცი, ელისაშვილი შეაშინეს, მოისყიდეს თუ ბიძინას პროექტია“

გვ.2

„არ მაინტერესებს, რაზე იტირებს ელისაშვილი... მოუსმინოს, რას ამბობენ მისი მეგობარი „ქოცები“

„კობახიძემ შეაშინოს ის, ვინც შეუშინებია, ძალიან სასაცილოა, რომ თურმე საგამოძიებო კომისია უნდა შექმნან“

„კობახიძემ თავისნაირები შეაშინოს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილის პოლიტიკურ ცხოვრებაში არ არსებობს დაპირება, რომელიც მან შეასრულა“

გვ.3

გვ.3

სოსო შატბერაშვილი: „ხელისუფლებას არ ეყო სიმტკიცე, პანდემიის პირობებში არჩევნები გადაეტანა“

მამუკა გვაძაბია: „ოპოზიციის პარლამენტში შესვლა რუსული გავლენის გაძლიერებას ნიშნავს“

გვ.4

ISSN 1987-9385

4 ასლან ბჟანიამ ოკუპირებული რეგიონის „საგარეო პოლიტიკის“ კონცეფცია დაამტკიცა
აფხაზეთის ენერგოსექტორიც რუსების ხელში ექცევა

2 ზელიმხან ხანგოშვილი მისი მკვლელობის დღეს სანდრა რულოვსთან შეხვედრას აპირებდა

5 იტალია 42 წლის ბორის წიკლაურს რუსეთს გადასცემს

6 ერდოღანი ბაქოში ჩავიდა

ხათუნა გოგორიშვილი: „არ ვიცი, ელისაშვილი შეაშინეს, მოისყიდეს თუ ბიძინას პროექტია“

„არ მაინტერესებს, რაზე იტირებს ელისაშვილი... მოუსმინოს, რას ამბობენ მისი მეგობარი „ქოცები“

იაგო ნაცვლიშვილი

პარტია „მოქალაქეების“ ლიდერი ალეკო ელისაშვილი აცხადებს, რომ თუ საარჩევნო რეფორმაზე შეთანხმება მოხდება, მზადაა პარლამენტში შევიდეს. მან „ევროპული საქართველო“ საბოტაჟში დაადანაშაულა და თქვა, რომ ამერიკისა და ევროკავშირის მედიაციით მიმდინარე მოლაპარაკებებიდან ბოკერიას პარტიას ინფორმაციები გამოაქვს და პროცესის ჩაშლას ცდილობს. რა პასუხი აქვთ ელისაშვილის ამ ბრალდებებზე და რას უპასუხებენ ირაკლი კობახიძეს, რომელიც ოპოზიციურ პარტიებს სახელმწიფო დაფინანსების შესწყვეტით კიდევ ერთხელ დაემუქრა და რომელიც საგამოძიებო კომისიის შექმნასა და 31 ოქტომბრის არჩევნების შესწავლის პირობას დებს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ხათუნა გოგორიშვილი საუბრობს.

„კობახიძემ შეაშინოს ის, ვინც შეუშინებია, ძალიან სასაცილოა, რომ თურმე საგამოძიებო კომისია უნდა შექმნან“

– ცნობილი გახდა, რომ ალეკო ელისაშვილი შედის პარლამენტში თუ საარჩევნო რეფორმა განხორციელდება. მან თქვენ პარტიაზე თქვა, რომ მოლაპარაკების პროცესის საბოტაჟს ახდენთ და ა. შ. რა პასუხი გაქვთ?

– მოვუსმინე მის „სიბრძნეს“. როდესაც ადამიანი ასეთ გადაწყვეტილებას იღებს და ისეთ ნაბიჯს დგამს, რომელიც მთელი საზოგადოებისთვის მიუღებელია, რამე არგუმენტი უნდა მოიფიქროს და თავი უნდა იმართლოს. პირდაპირ ხომ არ იტყვის, რომ შემაშინეს, მომისყიდეს, მოღალატე ვარ და ა. შ. რა თქმა უნდა, თავი რაღაცით უნდა იმართლოს. მიჩვეულები ვართ მისი ატირებული, აკანკალებული ხმით ემოციით საუბარს და ეპითეტებს. რაც არ უნდა ილაპარაკოს, მის საქციელს ჰქვია ერთადერთი რამე. არ ვიცი შეაშინეს, მოისყიდეს თუ თავიდანვე ეს იყო ბიძინა ივანიშვილის პროექტი, მაგრამ ფაქტია, რომ ელისაშვილი არის ჩვეულებრივი „ქოცი“ და არანაირი განსხვავება არ არის მასა და „ქოცების“ რიგებში მყოფ ადამიანებს შორის.

სისულელეებს ლაპარაკობს, რომ თურმე საარჩევნო კოდექსი ყოფილა მისი ცხოვრების მიზანი. აკანკალებული და ატირებული გველაპარაკება, რომ თურმე უნდა გადაარჩინოს ქვეყანა. გუშინწინ, შეხვედრიდან გამოსულმა თალაკვაძემ და კობახიძემ თქვეს, ოპოზიციიდან არც ერთი ადამიანი რომ არ შემოვიდეს პარლამენტში, საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს მაინც განვახორციელებთო. ასე რომ, მოუსმინოს ხოლმე, რას ლაპარაკობენ მისი მეგობარი „ქოცები“ და ისე მოიყვანოს არგუმენტები – ცოტა უფრო ჭკვიანური არგუმენტები მოიფიქროს.

– სუსტი არგუმენტები აქვს ელისაშვილს?

– სუსტი არგუმენტი კი არა, ეს არის თავის მართლების საშუალება, რომ იქნებ როგორმე ისე შეფუთოს, რომ იქნებ ვინმეს რაღაცნაირად მოაწონოს მისი გადაწყვეტილება, მაგრამ არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, ოპოზიციური ამომრჩეველი და განსაკუთრებით მისი ამომრჩეველი, არა მგონია, ამ არგუმენტით „დააბას“ (უკაცრავად ამ ჟარგონისთვის).

– ასეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, რომ ელისაშვილი ივანიშვილმა მოისყიდა, ან გაურიგდა მას?

– არ ვიცი მოისყიდა, შეაშინა თუ თავიდანვე იყო ეს შეთანხმება თუ რა. არ ვიცი და მკითხაობას ვერ დავიწყებ, მაგრამ ფაქტია, რომ თუ ის შევიდა პარლამენტში, მაშინ მასა და სხვა „ქოც“ დეპუტატებს შორის განსხვავება არ იქნება. ასეთი შთაბეჭდილება კი არ მრჩება, ასე ვფიქრობ.

– იქნება ალეკო ელისაშვილი „ქართული ოცნების“ ისეთივე ოპოზიცია, როგორიც, მაგალითად, „პატრიოტთა ალიანსი“ იყო წინა მოწვევის პარლამენტში?

– მე მგონი განსხვავება იმაში იქნება, რომ ჩვენ მიჩვეულები ვართ ელისაშვილის გულისამაჩუყებელი ეპითეტებითა და აკანკალებული ხმით ლაპარაკს. ეს იქნება განსხვავება. უფრო ემოციურად ილაპარაკებს, ვიდრე „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლები ლაპარაკობდნენ, თუმცა ადა მარშანიაც საკმაოდ ემოციური იყო თავის გამოსვლებში.

– ამ განცხადებების შემდეგ არ ელოდებით, რომ თქვენ დაგადანაშაულებენ სხვა ოპოზიციური პარტიების ბულინგში? ამ შემთხვევაში ელისაშვილის. ამ ნარატივს არ ელოდებით?

– ჩვენ რამეში დაგვადანაშაულებენ იმ ადამიანთან მიმართებაში, რომელიც გამოვიდა და რაღაცები მიკიბ-მოკიბა და თქვა, რომ პარლამენტში იმიტომ შევდივარ, რომ ქვეყანა გადავარჩინოო?! მე დამადანაშაულებენ ამის შემდეგ ბულინგში?! ღალატში დაადანაშაულებენ ალეკო ელისაშვილს. ზუსტად ვიცი, რომ საზოგადოებას ეს რეაქცია ექნება.

– ამ შემთხვევაში მათ შორის კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფებსაც ვგულისხმობ, საიდანაც შესაძლოა ეს ნარატივი წამოვიდეს.

– ალეკო ელისაშვილი რა ფრაზეოლოგიით ილაპარაკებს და რაზე იტირებს, აბსოლუტურად არ მაინტერესებს.

– ირაკლი კობახიძე გუშინ კიდევ ერთხელ დაგემუქრათ, რომ დაფინანსებას ვერ მიიღებთ.

– ირაკლი კობახიძეს ვინც შეუშინებია, ისევ იმას დაემუქროს. რაც უფრო მეტ სისულელეს ილაპარაკებს ირაკლი კობახიძე, მით უფრო მალე დასრულდება „ქართული ოცნების“ მმართველობა. გადმოყარა „მარგალიტები“ თავის ბრიფინგზე. უკვე გადავიდნენ რეგისტრაციის გაუქმებაზე, დაფინანსების გაუქმებას რომ აპირებენ, ეს დიდი ხანია ვიცით, მაგრამ ამით ვინც შეუშინებიათ, ისევ ის შეაშინონ.

– თუ დაფინანსება შეგიჩერეს, პოლიტიკური ცხოვრება არ გაგიჭირდებათ?

– რა თქმა უნდა, გაგვიჭირდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შევწყვეტთ პოლიტიკურ ცხოვრებას. კობახიძის ბრიფინგის მოკლე შინაარსი არის ის, რომ თუ არ გინდათ პრობლემები გქონდეთ, შემოდით პარლამენტშიო. არა, ბატონო – პარლამენტში არ შევალთ და როგორმე ყველა პრობლემას გავართმევთ თავს.

– დაპირებაც გასცა, რომ შევქმნით საგამოძიებო კომისიას და შევისწავლით, როგორ ჩატარდა არჩევნებიო. დაადგენენ?

– ეს არის ძალიან სასაცილო. საგამოძიებო კომისია, რომელსაც ისინი შექმნიან, იმ კომისიამ უნდა გამოიძიოს თურმე, მაშინ როდესაც, ზუსტად ვიცით, რაც გააკეთეს სასამართლოებმა და საოლქოებმა. დროებითი საგამოძიებო კომისიები, რომელშიც არიან ამ არჩევნებით არჩეული „ქოცი“ დეპუტატები, იმათ უნდა დაადგინონ, რომ მათი არჩევა არაკანონიერია?! ვინმე ამას სერიოზულად აღიქვამს?! ახლა თქვენ როგორც გეცინებათ, არის ვინმე, ვინც ასე არ იცინის?!

მე კარგად მახსოვს საგამოძიებო კომისიის რეგულაციების და პროცედურების შეცვლა, როდესაც რეგლამენტის ცვლილება ხდებოდა, მაშინ ქალბატონი თამარ ჩუგოშვილი ლაპარაკობდა, რომ ეს არის ინსტრუმენტი ოპოზიციის ხელში, რომ მარტო მას შეეძლება საგამოძიებო კომისიის შექმნა და უმრავლესობა უნდა მონაწილეობდეს. ახლა ოპოზიცია იმ ტოტს მოჭრის, რომელზეც ზის და ამას ვინმე სერიოზულად აღიქვამს?!

– ფაქტია, რომ ელისაშვილის სახით ოპოზიციაში პირველი ბზარი გაჩნდა. გაქვთ მოლოდინი, რომ ერთიანობას შეინარჩუნებთ?

– იცით რა? მე ჯერ კიდევ გუშინ იმის მოლოდინიც მქონდა, რომ ელისაშვილი ბოლომდე გაძლებდა, მაგრამ დღეს უკვე იმდენად გავიდა მომსახურების ზონიდან, რომ დღეს მასზე შემიძლია ასე ვილაპარაკო. იმედი მაქვს, რომ დანარჩენები ამას არ იზამენ და ერთიანობა შენარჩუნდება. განსაკუთრებულ იმედს მაძლევს ის საზოგადოებრივი რეაქცია, რომელიც ახლავს ელისაშვილის საქციელს. ჩაიხედეთ სოციალურ ქსელებში და ნახეთ, როგორ აღიქვამს ამას ჩვენი მოსახლეობა და დამატებით შეგიძლიათ ნახოთ ის კადრები, ელისაშვილს ბოლოს მოხუც კაცთან რომ ჰქონდა შეხვედრა, კარგ ხასიათზე დასაყენებლად ის ვიდეოც ნახეთ, რას ეუბნება ელისაშვილს.

ალეკო ელისაშვილი: „ბოკერიას ფოთში თავი მოეჭრა, მხოლოდ 6% აიღო და ახლა ყველაფერს ურევს“

– ბოკერიას პარტია დადის შეხვედრებზე მხოლოდ იმიტომ, რომ გარეთ გამოიტანოს დეტალები, ილაპარაკოს და აურიოს ყველაფერი, საბოტაჟით არიან დაკავებულები.

ამის შესახებ პარტია „მოქალაქეების“ ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა სოციალური ქსელით გავრცელებულ ვიდეომიმართვაში განაცხადა.

მისი თქმით, „ევროპული საქართველოს“ ლიდერებს, გიგა ბოკერიასა და გიგი უგულავას, საბოტაჟის მოწყობა და ყველაფრის არევა იმიტომ სურთ, რომ არჩევნების შედეგად პარლამენტში ვერ მოხვდნენ.

მისივე თქმით, ელჩები მოლაპარაკებებში მონაწილე მხარეებს მოუწოდებენ, დეტალები არ გაასაჯაროვონ, რათა პროცესი არ დააზიანონ და ზოგიერთი პარტია ამ პირობის ერთგული არ არის.

– ბოკერიას პარტია დადის იმ შეხვედრებზე მხოლოდ იმიტომ, რომ გარეთ გამოიტანოს დეტალები, ილაპარაკოს და აურიოს ყველაფერი, საბოტაჟით არიან დაკავებულები, რომ აურიონ და ჩაშალონ ყველაფერი. იმიტომ, რომ ვერ მოხვდნენ პარლამენტში. ბოკერია და უგულავა ვერ მოხვდნენ პარლამენტში და ამიტომ უნდათ, რომ ყველაფერი არიონ. თავი მოეჭრათ – ერთს ზუგდიდში, მეორე ფოთში. წავიდა, კაი ნიკო ნიკოლაძესავით ბოკერია და 6% აიღო ფოთში. არ ვიცი, რა ეგონა?! რას იზამდა?! რას მიაღწევდა?! და ახლა უნდა ყველაფერი აურიონ და ჩაშალონ. მე არ მინდა, რომ ჩავშალო, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

გიგა ბოკერია: „ელისაშვილი სამარცხვინოდ იქცევა“

– ამ საბაბით ელისაშვილისნაირი ფიგურის შესვლა პარლამენტში ივანიშვილს პოლიტიკური იზოლაციისგან ვერ გადაარჩენს, ანუ მაინც ერთპარტიული იქნება ეს პარლამენტი ყველა შემთხვევაში.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ განაცხადა, რითიც პარტია „მოქალაქეების“ ლიდერის სოციალურ ქსელში გავრცელებულ მიმართვას გამოეხმაურა.

ბოკერიას თქმით, ალეკო ელისაშვილი საბაბს ეძებს და თანაც ძალიან სამარცხვინო ფორმით.

– აშკარა შთაბეჭდილებაა, სამწუხაროდ, რომ საბაბს ეძებს. ჩვენ არასდროს მისთვის არაფერი დაგვიბრალებია, ეს სიცრუეა მრავალ სიცრუეთა შორის, რაც მან იკადრა ადრეც და ახლაც. არაფერი არ დაგვიბრალებია იმიტომ, რომ ჩვენთვის ამ ვითარებაში მიზანი ის კი არ იყო, რომ ვინმე მოქცეულიყო სამარცხვინოდ და იმისთვის ტალახი გვესროლა, ან იქამდე, ან მერე, არამედ სასურველი იყო, რომ ყოფილიყო ერთიანობა, ამიტომ საერთოდ არ დავსხმივართ თავს. ეძებს საბაბს, ოღონდ ძალიან სამარცხვინო ფორმით. სამწუხაროა, ყველა შემთხვევაში, იმიტომ რომ, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ელისაშვილის ჩათვლითაც კი, და ეს ძალიან დაბალი საზომია ჩემთვის, მაინც სასურველი იყო და ახლაც სასურველია, რომ ბოიკოტი შენარჩუნებულიყო, ამ სამარცხვინო საქციელის ფონზეც კი, მისგანაც კი სასურველია, რომ ბოიკოტი შენარჩუნდეს, – განაცხადა ბოკერიამ.

მისივე თქმით, თუ ელისაშვილი საბოლოოდ ამ არჩევანს გააკეთებს, ეს სამარცხვინო არჩევანი იქნება, მაგრამ ეს ივანიშვილს არ უშველის იმ პოლიტიკურ პრობლემაში, რაც მას აქვს მისივე შექმნილი კრიზისის გამო.

გიორგი ვაშაძე: „პარლამენტში არ შევდივართ“

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერის გიორგი ვაშაძის განცხადებით, 10 დეკემბერს პარტიაში დიდი სამუშაო შეხვედრა გაიმართება. აღნიშნულის შესახებ ვაშაძემ ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ განაცხადა.

როგორც გიორგი ვაშაძე განმარტავს, ის, რომ პარლამენტში არ შევლენ, ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, შეხვედრაზე კი სხვადასხვა დეტალებზე ისაუბრებენ.

– შეეხება ყველა მიმდინარე საკითხს, უამრავი თემა გვაქვს განსახილველი, ამ ორომტრიალში ვერ შევძელით კონკრეტულად, დეტალურად მსჯელობა სხვადასხვა საკითხებზე. პოლიტსაბჭო რა, ეს იქნება უფრო დიდი სამუშაო შეხვედრა, სადაც აბსოლუტურად ყველა საკითხზე გვექნება მსჯელობა. ჩვეულებრივი სამუშაო შეხვედრაა, არაფერი განსაკუთრებული. ეს არის პარასკევთან დაკავშირებით, იგივე განცხადების დაწერის პროცედურაში როგორ მივიღებთ მონაწილეობას და ჩვენ რა როლი გვექნება იმ სქემიდან გამომდინარე, რაზეც ვიმსჯელეთ სხვა ოპოზიციურ პარტიებთან, – განაცხადა ვაშაძემ.

მისივე განმარტებით, პარტიაში ერთიანი პოზიციაა.

კითხვაზე, მმართველი გუნდის მხრიდან შემოთავაზება დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ იქნება თუ არა საკმარისი, ვაშაძე აცხადებს, რომ ამას ნაჩქარევად ვერ უპასუხებს.

– ვერ იქნება საკმარისი, არ ვიცი, ამ წინადადებაზე არც მიფიქრია, პირდაპირ გეტყვით, არ მინდა ნაჩქარევად გავაკეთო განცხადება. ვფიქრობ, საინტერესო იქნებოდა შემდეგი რაუნდის შეხვედრა, სადაც დეტალურად მოვისმენდით ამ ყველაფერს, მაგრამ ის, რომ ჩვენ პარლამენტში შევიდეთ და მერე იქ რაღაც დადგინდეს და მერე დანიშნონ მთელი ეს პროცესი შეთანხმების, ასე ვერ მოხდება. ამოცანა არის შემდეგი – შეთანხმება უნდა შედგეს, შეთანხმება ან არის, ან არ არის. თუ შეთანხმება არ არის, პარლამენტში შესვლას არ ვიხილავთ, თუ შეთანხმება არის, რა თქმა უნდა, პარლამენტში შესვლის შესაძლებლობას ვიხილავთ, – განაცხადა ვაშაძემ.

ზელიმხან ხანგოშვილი მისი მკვლელობის დღეს სანდრა რულოვსთან შეხვედრას აპირებდა

ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობის საქმეზე გერმანელმა გამომძიებლებმა სანდრა რულოვსი ტელეფონით გამოკითხეს. ამის შესახებ „დოიჩე ველეს“ რუსულენოვანი რედაქცია იუწყება.

ბერლინის ცენტრში ჩეჩნეთის ყოფილი საველე მეთაურის ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობამ გერმანიასა და კრემლს შორის ურთიერთობების გაუარესება გამოიწვია. გერმანიის პროკურატურის წარმომადგენლებმა დიდი ხნის წინ განაცხადეს, რომ აღნიშნულ საქმეში რუსეთის სპეცსამსახურებს მოიაზრებენ. სავარაუდოდ, სწორედ მათთან იყო დაკავშირებული ცხელ კვალზე დაკავებული მკვლელობაში ეჭვმიტანილი ვადიმ კ.

მისივე ცნობით, სავარაუდო ქილერთან დაკავშირებული პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება, მაგრამ საქმეში სულ უფრო საინტერესო დეტალები იკვეთება.

კერძოდ, მედიასაშუალება იუწყება, რომ გერმანელმა გამომძიებლებმა მნიშვნელოვან მოწმეებს შორის დაასახელეს საქართველოს ყოფილი პირველი ლედი სანდრა რულოვსი. გამომძიებლებმა მას სთხოვეს კიდეც, რომ ბერლინში ჩასულიყო ჩვენების მისაცემად.

სატელევიზიო სიუჟეტის ავტორი აცხადებს, რომ რულოვსი მკვლელობის დღეს ბერლინში იმყოფებოდა და ხანგოშვილი მასთან შეხვედრას აპირებდა.

თუმცა, ჟურნალისტი აცხადებს, რომ გერმანელმა გამომძიებლებმა ვერ შეძლეს რულოვსის დაყოლიება ბერლინში ჩასვლასა და ჩვენების მიცემაზე. ამიტომ, ის ტელეფონით გამოკითხეს.

– ამ ხანგრძლივი სატელეფონო ჩვენების დეტალების შესახებ სასამართლოში არაფერი თქმულა, ისევე, როგორც რულოვსის სავარაუდო შეხვედრის მიზანზე ზელიმხან ხანგოშვილთან, – აცხადებს ჟურნალისტი ვლადიმირ ესიპოვი, რომელიც ხანგოშვილის პროცესს აშუქებს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„რიგგარეშე არჩევნები ივანიშვილს უნდა“

ლადო სადღობელაშვილი: „ივანიშვილი კრიზისს ქმნის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

– ლადო, რა ხდება სახელისუფლო თუ ოპოზიციურ ფლანგზე. მოვლენების როგორ განვითარებას ელი? რა სიტუაციაა თავად „ოცნებაში“?

– მე რა ინფორმაციებიც მაქვს, ძალიან დიდი გადაადგილებები ხდება შიგნით, „ოცნებაში“. რეალურად ?ხლა არის ჭიდილი, ვინ იქნება პრემიერი, ვინ რისი მინისტრი იქნება და ასე შემდეგ. მოგეხსენებათ, რომ პარლამენტის შეკრებისთანავე, უფლებამოსილება ეხსნება მთავრობას და ახალი მთავრობა მტკიცდება.

– ფიქრობთ, რომ სერიოზული ცვლილებები იქნება?

– მე ვფიქრობ, რომ სერიოზული ცვლილებები იქნება, ანუ ნახევარი მინისტრთა კაბინეტი მაინც შეიცვლება და სწორედ ამ პროცესს უკავშირდება ის პროცესები, რომელთაც ჩვენ ?ხლა ვხედავთ. აქ საუბარია „ოცნების“ ლიდერების მიერ აღებულ ვალდებულებებზე, რაც ჩაიბარა თალაკვაძემ, თუმცა აქტიურად იყო ჩართული კობახიძეც. აბსოლუტურად მთლიანი რესურსია ჩართული. ამ ადამიანებს ბიძინა ივანიშვილისგან მინიჭებული აქვთ მანდატი, რომ იარონ ასეთი ტიპის შეხვედრებზე, როგორიც არის ელჩებთან შეხვედრები, ასევე, პირადი მოლაპარაკებები ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან.

– ოპოზიციიდან ვის ხვდებიან?

– სწორედ ამ ზაფხულს გასკდა ის ამბავი, რომ ფარულად და მალულად, კობახიძეს და თალაკვაძეს ხვდებოდნენ გირჩის წევრები. დღეს თალაკვაძე, კობახიძე და მდინარაძე, ნამდვილად არ არიან პოპულარული სახეები. არა მარტო ოპოზიცია, არამედ „ოცნების“ აქტიური მხარდამჭერებიც კი თანხმდებიან იმაზე, რომ ეს სამეული ძალიან მიუღებელია საზოგადოებისთვის.

– ტიკარაძის კანდიდატურაც განიხილება პრემიერადო, ეს რამდენად სერიოზულია?

– შიგნით ასეთი პირობაა დაყენებული, ვინც ადგება და მოერევა გახარიას, სწორედ ის დაინიშნება პრემიერად. გახარიას ვერ ერევიან, ვერ გამოუნახეს ამ ადამიანს მიზეზი, რის გამოც სერიოზულად შეიძლება მისთვის შარის აგორება.

– იმის თქმა გინდათ, რომ ვერ უშვებენ გახარიას?

– დიახ, ვერ უშვებენ, ვერ. სწორედ აქედან გამომდინარეა ეს ყველაფერი შექმნილი. თუმცა, მოდით, ვთქვათ სიმართლე, გახარიას სკამს რომ ყველა ფეხი გამოცლილი აქვს, ცხადია. შეიძლება თავისი ერთი ან ორი წარმომადგენელი ჰყავდეს მხოლოდ გუნდში.

– ბოლოს და ბოლოს, ვისი კაცია გახარია?

– ვანო ჩხარტიშვილის.

– და მერე ბიძინა ვერ ერევა ჩხარტიშვილს და გახარიას?

– აი ზუსტად ეგ არის მთელი პრობლემა, რომ ვერ ერევა. ვანო ჩხარტიშვილს აქვს საკმაოდ დიდი გამოცდილება ქართულ პოლიტიკაში. 25 წლიანი გამოცდილება აქვს და მან ქართული პოლიტიკა იცის ალბათ ყველა ექსპერტზე უკეთესად. თუ სად რა ხდება და ვის რა ფასი აქვს და ასეთ ადამიანთან ჭიდილი არც ისე მარტივია.

– გამოდის ინფორმაციები, რომ „ოცნების“ შიგნით არსებული დაჯგუფებები, თავადვე აწვდიან ოპოზიციურ ტელევიზიებს და თავად ოპოზიციას ერთმანეთზე კომპრომატებს.

– ამის თაობაზე მე, კარგა ხანია, გესაუბრებით. მე ვ??????ი, რომ ის მასალები, რაც გამოაქვს, მაგალითად, ნოდარ მელაძეს სატელევიზიო სიუჟეტებისთვის, ასახელებს უტყუარ წყაროებს, ეს უტყუარი წყაროები არიან ისევ „ოცნების“ წევრები. კიდევ არის საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი სახეები, რომლებიც ამ გამოტანილ ინფორმაციებს ავრცელებენ. ესენი ფაქტიურად არიან „ოცნების“ შიკრიკები, რომლებსაც გამოაქვთ ინფორმაციები. თუმცა, აქ მთავარი არის ის, რომ ბიძინა ივანიშვილის გარეშე არაფერი არ ხდება. ვთქვათ, ამ ეტაპზე ივანიშვილს აწყობს გახარიას მოშორება, ის მიაწვდის კომპრომატებს ორ-სამ ცნობად სახეს და მთელი ქვეყნის მასშტაბით კონკრეტულ ადამიანს აშავებს.

– გათიშე და იბატონეს პრინციპით მართავს ივანიშვილი?

– ასეა. ნახეთ, რა ქნა იგივე გირჩთან მიმართებაში?! ამ ადამიანმა რეალურად დაყო გირჩი. ერთი მხრივ, ჯაფარიძეს აკონტროლებს და როგორც კი ჯაფარიძე აღუდგა მის ნებას, მან გარიცხა ჯაფარიძე. ყველაზე დიდი ფეისი გარიცხა იმ ორგანიზაციიდან.

როგორც ჩანს, ჯაფარიძემ არ იკმარა ის ფულადი ჯილდო და საპარლამენტო მანდატი, რაც შესთავაზა ივანიშვილმა. ხომ ხედავთ, ამ ბოლო დღეებში ჯერ როგორ ჩაიკარგა და მერე სხვანაირად ალაპარაკდა ალეკო ელისაშვილი. თავიდან ერთ მანდატს ეუბნე?ოდნენ, მერე ორი მანდატი შესთავაზეს.

– 7 ოპოზიციონერი გეგმავდა შესვლას, რა იქნება ახლა?

– იმ ოპოზიციონერების გვარები, რომლებიც ხელისუფლების მხარეზე არიან, არაერთხელ დამისახელებია, იგივე ვაშაძე, იგივე ელისაშვილი და თუნდაც გირჩი. ახლა იმასაც გეუბნებით, რომ ზუსტად იგივე რეჟიმშია გიგა ბოკერიაც და რატომ ვერ უბედავენ რამის თქმას, მიკვირს. გიგა ბოკერიაც არის იმ პოზიციაზე, რაზეც ვაშაძე, გირჩი და ელისაშვილი არიან. უფრო ხელისუფლების მხარეს ექცევა, ვიდრე რადიკალური ოპოზიციის.

– „ევროპულ საქართველოში“ არიან უფრო ხისტი პოზიციის მქონენი, რომლებიც შესვლაზე კატეგორიულ უარს ამბობენ.

– ჩემთვის გასაკვირი ნამდვილად არ იქნება, თუ ბოკერიას გუნდის რაღაცა ნაწილს ვიხილავთ პარლამენტში.

– ანუ შეიძლება ევროპელებიც დაიშალონ?

– შეიძლება არა, დარწმუნებული ვარ ამაში! ბიძინა ივანიშვილს რომ უნდოდეს, პატრიოტებიდან დაწყებული, გირჩით და ბოკერიებით დამთავრებული, ზედ მიყოლებული ნატო ჩხეიძით, ყველას ვიხილავდით პარლამენტში.

– ანუ მას არ უნდა?

– მას არ უნდა ეს. მას უნდა რაღაცა კრიზისის შექმნა, როგორც ჩანს, რიგგარეშე არჩევნები უნდა.

– ანუ რა გამოდის, რომ ოპოზიცია თამაშობს ბიძინას თამაშს?

– აბსოლუტურად! თუმცა საჭირო სულაც არ არის, რომ ოცივე ოპოზიციონერმა იცოდეს, რომ ბიძინას თამაშს თამაშობს. ის ეტყვის ხუთ გავლენიან ოპოზიციონერს და დანარჩენები თავის აზრს ახვევენ მთელ ოპოზიციას. ბიძინას რომ სურდეს პატრიოტთა ალიანსის შეყვანა პარლამენტში, ერთი თითის დატკაცუნებით გააკეთებს ამას. ასევე ზუსტად იგივეს გააკეთებდა ყველა იმ ბიზნესმენზე, რომელიც ახლა არის ოპოზიციის რიგებში. ვგულისხმობ, ჩოჩელს, ოქრიაშვილს და ასე შემდეგ. თუმცა აქ საუბარი სხვა რამეზეა.

– რაზე?

– იმაზე, რომ ბიძინას არ სურს ეს პარლამენტი. არ უნდა, რომ ესენი პარლამენტში იყვნენ. როგორც ჩანს, თავისი სია არ აწყობს და სულ სხვა სიის წარმოდგენა უნდა. იმიტომ, რომ იმ სიაში ვალდებულებები ვინც აიღო, მათ ის ვალდებულებები ვერ შეასრულეს. ამიტომ ბიძინას გაუჩნდა სურვილი, რომ ის გუნდი, რომელმაც ვალდებულებები ვერ შეასრულა, მოიშოროს.

– ელჩებთან შეხვედრაზე უკვე თვითმმართველობის არჩევნებზე მიდის საუბ?რიო და შესაძლოა საპარლამენტოც მაშინ ჩაატაროს?

– რატომაც არა?! მო?ით, პირდაპირ ვთქვათ, საკმარისია ოთხმა-ხუთმა ადამიანმა ამის იდეა წამოაყენოს ოპოზიციაში და დანარჩენებიც იგივე ნოტზე დაიწყებენ სიმღერას. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ იგივე გიგა ბოკერიამ თუ სერგო რატიანმა, იგივე მოთხოვნები გაახმაურეს ოპოზიციაში, რაც უნდოდა ბიძინა ივანიშვილს. ან სწორედ ის მოთხოვნები, რომლებიც ოპოზიციას შეიყვანდა ჩიხში.

– პარლამენტი 11 დეკემბერს უნდა შეიკრიბოს. ეს ოპოზიციის გარეშე მოხდება თუ რას ველოდოთ?

– არ არსებობს, რომ პარლამენტი შეიკრიბოს ოპოზიციის გარეშე. თუ ასეთი პარლამენტი შე?კრიბება, მას არ ექნება საქვეყნო და ასევე საერთაშორისო მანდატი. ამიტომ პარლამენტი აუცილებლად იქნება დაკომპლექტებული ოპოზიციონერებით! ესენი იქნებიან 5-ნი, 6-ნი თუ 10-ნი, ამას უკვე არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. საკმარისია ერთი ფრაქცია, ექვსი კაციც კი, რომ ამ პარლამენტმა მიიღოს საერთაშორისო მანდატი და ლეგიტიმაცია. ვიცი, რომ შედიან. თქვენ რა გგონიათ, კობახიძემ ტყუილად თქვა, ჩვენ ამას ღიად ვტოვებთ და მერე შეიძლება შემოგვიერთდნენო?!

– ნელ-ნელა მერე სხვებიც შელაგდებიან?

– რა თქმა უნდა, ასე იქნება. მთავრობის დაკომპლექტების შემდეგ, ძალიან ბევრი ადამიანი მოისურვებს შესვლას. ასეთი ფაქტები ახსოვს საქართველოს ისტორიას საპარლამენტო ცხოვრებიდან.

ამ ყველაფრის მიუხედავად, დიდი ალბათობით დაინიშნება რიგგარეშე არჩევნები ადგილობრივთან ერთად. ეს არის თვითონ ბიძინას სურვილი და ეს სურვილი იკითხება მის მოქმედებებში.

„კობახიძემ თავისნაირები შეაშინოს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილის პოლიტიკურ ცხოვრებაში არ არსებობს დაპირება, რომელიც მან შეასრულა“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული“ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, რას იტყვით ხელისუფლების შეთავაზებაზე, რომელიც ირაკლი კობახიძემ გაახმოვანა?

– ივანიშვილისა და გავრილოვის ხელის ბიჭი კობახიძე, ღია მანიფესტით გამოვიდა ოფიციალური დიქტატურის დამყარების თაობაზე. თუმცა, საქართველოში დიქტატურის დამყარება არავის არ გამოუვა, ეს უფრო შანტაჟი იყო. აქამდე, ივანიშვილი თავის ავტორიტარიზმს ზემოდან ფერუმარილს აყრიდა. ახლა ღიად გვემუქრებიან, მაგრამ ეს ძალიან მძიმედ დასრულდება მათთვის. კობახიძემ თავისნაირები შეაშინოს. ის ჩვენ ვერ შეგვაშინებს. პოლიტიკური სანაგვე ელოდება ყველა მისნაირ პოლიტიკოსს. კობახიძის გამოსვლის სტენოგრამა უნდა წარვუდგინოთ ელჩებს მომავალ შეხვედრაზე.

– დიქტატურის დამყარება რაში გამოიხატება? მან თქვა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებისთვის მზად არიან.

– კობახიძემ პირდაპირ გვითხრა, რომ ის მზად არის საქართველოში მრავალპარტიულობა გააუქმოს. პარტიული დაფინანსების მოხსნა სხვა არაფერია თუ არა პარტიების გაუქმება, რადგან საარსებო წყაროა ეს პარტიებისთვის. დარჩება მხოლოდ ერთი პარტია და ერთპარტიულობა კი დიქტატურაა და მეტი არაფერი.

– „ნაციონალური მოძრაობისთვის“ საარჩევნო რეგისტრაციის შეჩერებას შეძლებენ?

– ეს მუქარებია და მეტი არაფერი. ეს არის პირდაპირ განახლება რეპრესიების, რომელიც ყველას შეგვეხება და ეს ღიად გვითხრა კობახიძემ. თუმცა, მე მაინც იმედი მაქვს, რომ ივანიშვილი ამას ვერ შეძლებს. ამ მუქარების რეალიზაცია კონკრეტულად ივანიშვილისა და მისი გარემოცვისთვის პირდაპირ სანქციების დაწესებას ნიშნავს. დარწმუნებული ვარ, თუ ეს მუქარები სისრულეში მოვა, ბაიდენის ადმინისტრაციის ამოქმედების დღიდან ივანიშვილი სანქციებს დაექვემდებარება.

– რამდენად ელოდით, რომ ოპოზიციის რიგებში ვიღაცეები გატყდებოდნენ და პარლამენტში შევიდოდნენ? ელისაშვილისთვის, როგორც ჩანს, სრულიად საკმარისია საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილება.

– რა თქმა უნდა, ელისაშვილის ეს პოზიცია ჩემთვის მიუღებელია. ახალი არჩევნების საპირწონე ვერანაირად ვერ იქნება საარჩევნო კოდექსის ცვლილება. მით უმეტეს, შეუძლებელია ივანიშვილს სიტყვაზე ენდო. ეს იგივეა, ჰიტლერის ჰუმანურობაზე ვისაუბროთ. მიუხედავად ამისა, მე მაინც იმედი მაქვს, რომ ის არ წავა ამ ნაბიჯზე და არ შევა პარლამენტში. როგორც პოლიტიკოსის, როგორც მოქალაქის მხრიდან მის ამ ნაბიჯს გაამართლება ვერ ექნება. მინდა მჯეროდეს, რომ ალეკო ელისაშვილი იმ კახელ გლეხს არ გაუმართლებს და ოპოზიციის გვერდით დარჩება.

– ხელისუფლების მხრიდან ტყუილი დაპირებაა საარჩევნო რეფორმა?

– ხუმრობთ?! ივანიშვილი და დაპირება ისეთივე ნონსენსია, როგორც მზე და მთვარე ერთად ცის კაბადონზე. ივანიშვილის პოლიტიკურ ცხოვრებაში არ არსებობს დაპირება, რომელიც მან შესრულა. ეს იცის არა მხოლოდ ქართველმა ხალხმა, არამედ ეს იცის საერთაშორისო თანამეგობრობამ. ამ შემთხვევაში, მე მხოლოდ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე სრულად გადასვლის დაპირებას არ ვგულისხმობ. დაპირებათა მთელი წყებაა, რომელიც ჰაერზე გასცა და უბრალოდ დაივიწყა. ამ ხელისუფლებამ ყველაზე მეტი დაპირება გასცა და ყველაზე მეტი დაპირება არ შესრულა.

– ჩვენ უკვე ვიცით, რას აპირებს ხელისუფლება, რაზე მოდის. ახლა უფრო მნიშვნელოვანია, რას იზამს ოპოზიცია?

– სტრატეგიულ ხაზსს გავყვებით. ოპოზიცია გააგრძელებს ბრძოლას ბოლომდე. არავინ არ უნდა შევიდეს პარალმენტში, ამან იმუშავა. თუ საჭირო გახდება, უნდა მოხდეს ძალიან დიდი საპროტესტო გამოსვლებიც. ივანიშვილს ყველაზე მეტად ეშინია პარლამენტში მარტო დარჩენის. ერთადერთი, რისიც ამ ეტაპზე ეშინია, ეს არის ერთპარტიული პარლამენტი.

– ეშინია კი?

– დიახ, ეშინია! გამოჩნდა, რომ ნამდვილად ეშინია. ამიტომაც იმუქრება. ეს ყველაფერი სწორედ ამის დასტურია. პუტინისგანაც კი არავის არ მოუსმენია მსგავსი განცხადებები. ამიტომაც არიან ასეთ აგონიურ მდგომარეობაში. აგონიური მუქარების სტადიაში იმყოფებიან. თუ შეეცდებიან, რომ ეს მუქარები რეალობად აქციონ, ძალიან მძიმედ დაასრულებენ პოლიტიკურ არსებობას. ამიტომ, ამაზე ოცნებასაც კი არ ვურჩევ მათ.

სოსო შატბერაშვილი: „ხელისუფლებას არ ეყო სიმტკიცე, პანდემიის პირობებში არჩევნები გადაეტანა“

„ხელისუფლებამ ახალი ვალი მთლიანად კოვიდ-19-ის გამო უშემოსავლოდ დარჩენილ ხალხს უნდა მოახმაროს“

მარიამ მჭედლიშვილი

კორონავირუსის ახლანდელი ტალღა ისევ მძვინვარებს. შეზღუდვების გამო უმუშევრად და შემოსავლის გარეშე მყოფი ხალხი კი ნახევრად მშიერია. მოსალოდნელია თუ არა გაზაფხულზე მოსახლეობის მასშტაბური პროტესტი? ადეკვატურია თუ არა აქტიური ოპოზიციის მოთხოვნები? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს.

– რაც დრო გადის, საზოგადოებაში უკმაყოფილება იმატებს. ადამიანები ვერ ეგუებიან კიდევ ერთხელ ეკონომიკის ჩაკეტვას, ასევე იმას, რომ კოვიდ-19-ისაგან იღუპებიან ახალგაზრდები, რომლებსაც თანმხლები დაავადებები არ ჰქონდათ. გამოითქმის პროგნოზი, რომ გაზაფხულზე მივიღებთ საქართველოსთვის უჩვეულო სოციალურ ამბოხს.

– არ მოველი, რომ საქართველოსთვის არატრადიციული სოციალური დიდი გამოსვლები დაიწყოს. სიღარიბის მასშტაბი ძალიან მაღალია. ჯერ კიდევ კოვიდ-19-ის გაჩენამდეც არსებობდა საქართველოში სიღატაკე და სიღარიბე. ამ პანდემიამ ის კიდევ უფრო გაამწვავა. ბოლო არჩევნებზე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვიყავი, მოვიარე მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოფლები. ჩემი თვალით ვნახე, რა უმძიმეს მდგომარეობაშია ხალხი. არც ქალაქებს ულხინს, მაგრამ სოფლებში ბევრად უარესი მდგომარეობაა. ჩვენთანაც და სხვა ქვეყნებშიც საზოგადოება აპროტესტებს შეზღუდვებს. სამწუხაროდ, სხვა გამოსავალი არ იყო.

– ეკონომიკის ხელმეორედ ჩაკეტვა გაქვთ მხედველობაში?

– დიახ. პირველი ლოკდაუნის შედეგად ეპიდემია შევაჩერეთ. მეორე ტალღა უმძიმესი გამოდგა. თუ თურქეთში 26 000 ინფიცირებულია, ჩვენს პატარა ქვეყანაში – საშუალოდ 4 000. ეს პროცენტუ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

მამუკა გვაძაბია: „ოპოზიციის პარლამენტში შესვლა რუსული გავლენის გაძლიერებას ნიშნავს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის კითხვებს დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია პასუხობს.

– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას? როგორ დალაგდება ურთიერთობები ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის?

– ჩემი პოზიცია არის რადიკალური, სიტუაცია ისეთია, რომ სწორედ ასეთ მიდგომას საჭიროებს. დღეს ოპოზიციის პარლამენტში შესვლა, ეს ნიშნავს რუსული გავლენის გაძლიერებას საქართველოში. ანუ ოპოზიცია თუ დათანხმდა იმ პირობების გარეშე, რა პირობებსაც აყენებენ: ვადამდელი არჩევნები, საარჩევნო სისტემის ცვლილება და ასე შემდეგ, თუ ამის გარეშე ოპოზიცია დათანხმდა პარლამენტში შესვლას, ეს პირდაპირ ნიშნავს რუსული გავლენების გაძლიერებას საქართველოში.

– ნატოს წარმომადგენელმა განაცხადა კიდეც, რომ ქართულ პოლიტიკაში ძალიან მაღალია რუსეთის გავლენაო. რას ნიშნავდა ეს განცხადება?

– მე როდესაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე ვლაპარაკობ, ასევე ვსაუბრობ ნატოს პოზიციაზე კავკასიაში, მე ყურით მოთრეულ და თითიდან გამოწოვილ ინფორმაციებს არ ვეყრდნობი. მე ზუსტად ვიცი რუსეთის მუშაობის სტილი, ვიცი, რას ნიშნავს რუსული პოლიტიკა და რუსული პოლიტიკა კავკასიაში. განსაკუთრებით კი საქართველოში. მისთვის სამკვდრო სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია, საქართველოზე გავლენის ქონა თუ არ ქონა. იმიტომ, რომ თუ საქართველო მისია, კავკასიაც მისია. თუ საქართველო მისი არ არის, კავკასიის დიდ ნაწილსაც ვეღარ აკონტროლებს.

– დღეს როგორია რუსული როლი ქართულ პოლიტიკაში?

– დღეს რუსული როლი ქართულ პოლიტიკაში, სამწუხაროდ, არის დამანგრეველი. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, რუსული გავლენა სულ უფრო გაძლიერდა საქართველოზე. განსაკუთრებით ეპატრონებიან სახელმწიფო სტრუქტურებს. დღეს ერთადერთი სტრუქტურა, რომელსაც რუსეთი ჯერჯერობით ვერ დაეპატრონა საქართველოში თავისი აგენტურის მეშვეობით, ეს არის ლუგარის ლაბორატორია. აქაც იყო მცდელობა, თუმცა ჯერჯერობით არ გამოსდით.

– იმის თქმა გინდათ, რომ ყველგან არის რუსული აგენტურა?

– აბსოლუტურად ყველგან! საქართველოს ნატოში გაწევრიანებასაც სწორედ ეგენი უშლიან ხელს. ნატო აკვირდება პროცესებს ჩვენს ქვეყანაში, ის ვერასდროს დახუჭავს თვალს უსაფრთხოების საკითხებზე და დემოკრატიული კუთხით მუშაობა აქტიურია. საქართველო თანამშრომლობს ნატოსთან, თუმცა ჩვენი უწყებები გავსებულია რუსული აგენტურით და ეს ინფორმაციები რუსეთში მიდის.

– წინა ხელისუფლების დროს არ ჟონავდა ინფორმაციები?

– წინა ხელისუფლების დროსაც საკმარისზე მეტად ჟონავდა ინფორმაციები საქართველო-ნატოს ურთიერთობებთან დაკავშირებით, მაგრამ მაშინდელი ხელისუფლება, ამ აგენტურის განადგურებით მაინც იყო დაკავებული და გვახსოვს, რამდენი პირი დააკავეს. ამ 8 წლის განმავლობაში ერთი აგენტიც არ არის დაკავებული, როცა საქართველოში ასეულობით რუსული აგენტურული ქსელია. დასავლეთისთვის, საქართველოს ნატოში ინტეგრირების საკითხის განხილვისას, ესეც ერთ-ერთი შემაკავებელი ფაქტორია. დემოკრატიის კუთხით, შეიძლება რაღაც საკითხებზე თვალი დახუჭოს დასავლეთმა და მიუთითოს ხელისუფლებას, რომ ასე ჯობს, მაგრამ უსაფრთხოების საკითხები მათთვის უპირველესია. არასდროს არ გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რომელიც მის უსაფრთხოებას დაემუქრება. ასევე, რეგიონში ისეთი სიტუაცია მყარდება, რომ ძალიან კარგი მომენტია საქართველოს ნატოში ინტეგრირების დაჩქარების პროცესისთვის. რუსეთმაც არ დააყოვნა და როგორი სამშვიდობოების ალყაში მოგვაქცია, ხომ ვხედავთ. გარშემორტყმული ვართ რუსული სამშვიდობოებით და საქართველოს მოხრჩობას ცდილობენ.

– ნატოში ინტეგრაციისთვის კარგი სიტუაციაა და რამდენად შესაძლებელია ეს ამ პერიოდში?

– ამ სიტუაციაში ეს ასე მყისიერად ვერ მოხერხდება. ევროპის ქვეყნების ნაწილი დღეს რუსეთს მოჩლექის ენით ელაპარაკება. თუმცა ნატოს წევრი ქვეყნები მაინც იყურებიან ამერიკის შეერთებული შტატებისკენ. ბაიდენის ინაუგურაცია მოხდება და ის სულ სხვა პოლიტიკას გაატარებს. ტრამპის დროს, ფაქტიურად აღებ-მიცემობით იზომებოდა საგარეო პოლიტიკის საკითხები. მე დიდი იმედი მაქვს, რომ მართლაც სერიოზულ გარდატეხას მოახდენს ბაიერნის პოლიტიკა და რუსეთს სერიოზულ სანქციებს დაუწესებენ.

– დღეს აქტიურად საუბრობენ იმ ხელშეკრულებაზე, რომელიც რუსეთსა და აფხაზეთს შორის უნდა გაფორმდეს. რატომ არაფერს ამბობს ქართული მხარე ამ ყველაფერზე?

– ბჟანია იყო მოსკოვში ჩასული, რუსული მხარე პირდაპირ ითხოვს რუსეთის და აფხაზეთის კანონმდებლობის უნიფიცირებას. პირდაპირ მოთხოვნა იყო ასეთი, რომ თქვენი კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა მოვიყვანოთ ჩვენ კანონმდებლობასთან. აფხაზეთის დეფაქტო პოლიტიკურ დიდ ნაწილში ამან გამოიწვია როგორც უკმაყოფილება, ისე განცვიფრება. იქ სხვადასხვა საკითხებია, მოქალაქეობის საკითხები, მიწის გაყიდვის საკითხები, განსაკუთრებით კი, ენერგეტიკის საკითხები. ენერგეტიკა საერთოდ ჩამოშლის პირზეა, ენგურჰესი რომ გაჩერდება, აღარ ექნებათ უფასო ელექტროენერგია. აქამდეც თუ ჰქონდათ, ეს სწორედ ქართული მხარის დაუდევრობით იყო. რამხელა ნაწილი მიჰქონდათ ელექტროენერგიის და ამის დიდ ნაწილს რუსი სამხედროები მოიხმარდნენ. დღეს უკმაყოფილებაა იქაურ პოლიტიკურ წრეებში, ვნახოთ, როგორ განვითარდება პროცესები.

ასლან ბჟანიამ ოკუპირებული რეგიონის „საგარეო პოლიტიკის“ კონცეფცია დაამტკიცა

აფხაზეთის ენერგოსექტორიც რუსების ხელში ექცევა

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ ე. წ. საგარეო პოლიტიკის კონცეფცია დაამტკიცა.

დოკუმენტის თანახმად, საქართველო სხვა სახელმწიფოა და მასთან აფხაზეთმა ურთიერთობის ნორმალიზაცია უნდა მოახდინოს. ასევე დაგეგმილია „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარება“.

კონცეფცია ეწინააღმდეგება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, თუმცა მასში არ შეუტანიათ ისეთი ფორმულირებები, როგორიცაა საქართველოს მტრულ სახელმწიფოდ გამოცხადება. ამისკენ ბჟანიას რადიკალურად განწყობილი ომის ვეტერანები მოუწოდებდნენ. მათივე აზრით, აფხაზეთმა უნდა დაიწყოს ბრძოლა გენოციდის აღიარებისათვის. ვეტერანების შეფასებით, ქართველებმა მეოცე საუკუნეში ორჯერ მოაწყვეს აფხაზების გენოციდი. დოკუმენტში ამ დონის დაუსაბუთებელი ექსტრემისტულ-შოვინისტური გამონათქვამები არ შესულა.

კონცეფციის მიხედვით, აფხაზეთის მიზნებად გამოცხადებულია რესპუბლიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მისი ე. წ. სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის გაძლიერება, საზღვარგარეთ მცხოვრები აფხაზეთის მოქალაქეების უფლებების დაცვა.

ბუნებრივია, რომ აფხაზეთის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სახელდება სტრატეგიული პარტნიორობის გამყარება რუსეთის ფედერაციასთან, აგრეთვე აფხაზეთის პოზიტიური საერთაშორისო იმიჯის ჩამოყალიბება.

აფხაზეთი მიზნად ისახავს თავისი წვლილის შეტანას მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებაში კავკასიის რეგიონში.

პრიორიტეტებად მიჩნეულია საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვა, ასევე, რეაგირება საგარეო გამოწვევებსა და მუქარებზე.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აფხაზეთი აპირებს ძალისხმევის გააქტიურებას გლობალურ და რეგიონულ ინსტიტუტებში შესასვლელად.

ამ დღეებში ასლან ბჟანიამ საზოგადოებას აცნობა, რომ პუტინთან ბოლო შეხვედრაზე წამოიჭრა სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის საკითხი. ბჟანიას თქმით, მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების პარალელურად, პოსტსაბჭოთა სივრცეში მოსალოდნელია გარკვეული კავშირის შექმნა.

ბჟანია არ აკონკრეტებს, რა კავშირსა და სამოკავშირეო სახელმწიფოზეა საუბარი.

საზოგადოებას ამზადებენ, რომ აფხაზეთი უნდა გაწევრიანდეს კავშირში, სადაც არის რუსეთი.

ბჟანიას გამოსვლის შემდეგ გამოქვეყნდა

მეცნიერის, გვარად ალანის საგაზეთო სტატია. მეცნიერი ბჟანიასა და პუტინს არ ეხება. იგი ეხმაურება ოქტომბერში გამოთქმულ ინიციატივას აფხაზეთის რესპუბლიკის რუსეთ-ბელარუსის კავშირში შესვლის შესახებ. მისი ავტორია სახელმწიფო მოღვაწე, ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშბა. არშბა თვლის, რომ აფხაზეთის ხსნა რუსეთ-ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფოს შემადგენლობაშია. ალანი მის ნააზრევს მთლიანად იზიარებს.

ამავდროულად აფხაზეთში დაიწყო რუსეთთან საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის ფორმირების პროგრამის განხორციელება. პროგრამით უნდა მოხდეს ამ სფეროში აფხაზეთის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია რუსეთთან. დოკუმენტში უძრავი ქონების სადავო საკითხი მოხსენიებული არაა, თუმცა მას მოგვიანებით დაუბრუნდებიან და, დიდი ალბათობით, აფხაზეთის არამოქალაქეები აფხაზეთში უძრავ ქონებას შეიძენენ.

პროგრამაში შეტანილია ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება – პროექტის თავდაპირველ ვარიანტში მითითებული იყო, რომ აფხაზეთის ელექტროგადამცემი ხაზები აფხაზეთის საკუთრებაა და შეუძლებელია მისი პრივატიზება. ბოლო რედაქციაში ეს ჩანაწერი წაშლილია და საუბარია ინვესტიციების მოზიდვაზე ელექტროქსელის მოდერნიზებისათვის.

აფხაზეთში ენერგოსისტემაც მოძველებულია და დენიც არ არის საკმარისი. რესპუბლიკა ისევ გრაფიკის პირობებში ცხოვრობს. მდგომარეობის შესამსუბუქებლად ანქვაბის მთავრობამ აკრძალა კრიპტოვალუტის გამომუშავება. რეგულაცია 20 დეკემბრიდან 2021 წლის 1 ივნისამდე იმოქმედებს.

ხელისუფლების წარმომადგენლები ხალხს ეუბნებიან, რომ ენერგოსისტემას რუსული ფული სჭირდება. ეტყობა, მალე საქართველოს ამ რეგიონის ენერგოსისტემა მთლიანად რუსეთის ხელში გადავა. ეს ფაქტობრივი ანექსიისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება.

ამასვე მოემსახურება სხვა გეგმები, სამოკავშირეო საკითხით დაწყებული, კანონმდებლობის ჰარმონიზაციით დამთავრებული.

საქართველოს პოლიტიკურ ელიტას კი ამისთვის არ სცალია.

სოსო შატბერაშვილი: „ხელისუფლებას არ ეყო სიმტკიცე, პანდემიის პირობებში არჩევნები გადაეტანა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ლად ძალიან დიდი და საგანგაშო მაჩვენებელია. საწოლების პრობლემაც არსებობს, მაგრამ მარტო საწოლში არ არის საქმე. პრობლემა გახდა პერსონალი. კოვიდ-19-ით დაავადდა ბევრი ექიმი და ექთანი. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ვიღაცას დააკლდება მედპერსონალის ყურადღება. ექიმების მიმართ გამოთქმული პრეტენზიები დაუმსახურებელია. კვირას დავრეკე თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში. მინდოდა, ნაცნობი ექიმები მომეკითხა. გავარკვიე, რომ რამდენიმე მათგანი დაინფიცირებულა. პანდემიის გამო სამედიცინო მომსახურებას ვერ იღებენ სხვა პაციენტები – ონკოლოგიური, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონენი და სხვა. ვეღარ ტარდება გეგმიური ოპერაციები. ექიმების მიმართ სოლიდარული ვარ, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ჯანდაცვის სისტემა გამართულია. სადაც გამართულია – შვეიცარიაში, ავსტრიაში, გერმანიაში, იქაც გაუჭირდათ. კარგი მენეჯმენტისა და ვაქცინის შემოსვლის პირობებში უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ინფიცირებულთა რაოდენობა იკლებს. სამწუხაროდ, ჩვენ არც ევროკავშირის წევრი ვართ, არც აშშ და კანადა. ვითვლებით მესამე ტიპის ქვეყნად. მეტად უნდა ვიაქტიუროთ, რომ ვაქცინამ დროზე მოგვისწროს. ჩვენთან წარმატებულად განხორციელდა ცე ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა. იქნებ, ამ შემთხვევაშიც გაგვიმართლოს. დავუბრუნდები სოციალურ საკითხს, რაზეც თავიდან მკითხეთ. შეზღუდვების გამო ადამიანებმა დაკარგეს შემოსავალი, მათ ამოეწურათ ყველაანაირი მარაგი. მთავრობის მიერ დაპირებული თვეში 200 ლარი, ან 300-ლარიანი ერთჯერადი შემწეობა არ არის საკმარისი. მოვუწოდებ ხელისუფლებას, აიღოს ვალი და ეს ფული დაზარალებულებს მოახმაროს.

– ვალის აღება უკვე გადაწყვეტილია.

– ჰოდა, ხელისუფლებამ ახალი ვალი მთლიანად კოვიდ 19-ის გამო უშემოსავლოდ დარჩენილ ხალხს უნდა მოახმაროს. პანდემიამ დიდი ერები და დიდი სახელმწიფოებიც დააზარალა. მათზე უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდით ჩვენ – 3 მილიონიანი ქვეყანა. როგორმე ეს უმძიმესი ზამთარი უნდა გადავიტანოთ. სახელმწიფომ მთელი რესურსები იმ ხალხს უნდა მოახმაროს, ვისაც ეს ახლა ესაჭიროება. ადამიანები, რომლებმაც ლუკმაპურის შოვნის საშუალება დაკარგეს, სურსათისა და მედიკამენტების გარეშე მაინც არ უნდა დარჩნენ. ამას 200 ლარი არ ეყოფა. ეს უმძიმესი ზამთარია საქართველოს ისტორიაში. პანდემიის პირობებში ჩავატარეთ არჩევნები. ამან მდგომარეობა გაართულა. ხელისუფლებას არ ეყო სიმტკიცე, გადაეტანა არჩევნები. შეეშინდა, რომ ოპოზიცია ძალაუფლების უზურპაციას დაებრალებდა.

– ამ ზამთარს უმძიმესს უწოდებთ უახლესი ისტორიის პერიოდში?

– არა. საერთოდ ისტორიაში. შავი ჭირი და სხვა დაავადებები ყოფილა საქართველოში, მაგრამ მაშინ არ იყო ასეთი მობილობა. ადამიანები ასე არ ეკონტაქტებოდნენ ერთმანეთს. ახლა ტექნოლოგიები განვითარდა, მაგრამ პანდემიასთან ბრძოლის მხრივ კაცობრიობა ძალიან უსუსურად გამოიყურება. ამიტომ, უნდა ვიბრძოლოთ გადარჩენისათვის.

– პოლიტიკურ კრიზისსაც შევეხოთ. ოპოზიციის მიერ შემუშავებული ერთ-ერთი ვარიანტი გულისხმობს მომავალ წელს პლებისციტის გამართვას თემაზე – უნდა თუ არა ხალხს სხვა, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. ეს უკანდახევაა?

– ეს უკანდახევა კი არა, უაზრობაა იმ ოპოზიციის მხრიდან, რომელიც სააკაშვილის ჭკუაზე დადის. ეს „პარტიუკები“ და „პოლიტიკანები“, როგორც მათ სააკაშვილი უწოდებს, სისულეს სისულელზე აკეთებენ. ძირითადად, ასეთი მიდგომა აქვთ – ისინი ხელისუფლებას ეუბნებიან, წადი, მე უნდა მოვიდეო. ეს არის სააკაშვილის მისწრაფება. ჯერ ერთი, რა დროს პლებისციტია, როცა პანდემია არ მორჩენილა! პლებისციტს კიდევ ახალი არჩევნები და ინფექციის აფეთქება უნდა მოჰყვეს?! რომც დაინიშნოს პლებისციტი, არა მგონია, ბევრი ხალხი მივიდეს. ვინც მივა, იმათში უმრავლესობა ახალ არჩევნებს მხარს არ დაუჭერს. ნეტავ, 31 ოქტომბერსაც გადაედო ხელისუფლებას არჩევნები. 2 მილიონი ადამიანი მივიდა საარჩევნო უბნებზე, რამაც გაზარდა დაინფიცირებულთა რიცხვი.

– ოპოზიციის შემოთავაზებით, ახალი ცესკო იმ პარტიების წარმომადგენლებით უნდა დაკომპლექტდეს, რომლებმაც 2020 წლის არჩევნებზე ბარიერი გადალახეს.

– კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ ნაცმოძრაობასთან შეკრული ოპოზიცია უგუნურად იქცევა. ეს არის ნათელაშვილის ფანჩატურის უგუნური ოპოზიცია. ეს ხალხი, ერთი მხრივ, არ აღიარებს 2020 წლის არჩევნების შედეგს. მეორე მხრივ, ითხოვს ბიუჯეტიდან დაფინანსებას სწორედ ამ შედეგის მიხედვით. ამას ემატება ის, რაც მკითხეთ – ცესკოს დაკომპლექტების ახალი ვარიანტი. თუ ამბობენ, არჩევნები გაყალბდაო, მაშინ რა იციან, მათ გარდა, კიდევ ვინ გადალახა ბარიერი?! სხვა რატომ უნდა დაიჩაგროს? ჩვენი წინადადება ყოველთვის მდგომარეობდა იმაში, რომ ცესკო პარიტეტულად, თანაბრად უნდა დაკომპლექტდეს. მასში უნდა შევიდეს ყველა, ვინც გადალახა 1%-იანი ზღურბლი. თითო ასეთ პარტიას ეყოლება თითო წარმომადგენელი. ჩვენ დიდი ხანია, ხელისუფლებას მოვუწოდებთ ელექტრონული არჩევნებისაკენ. არის მოსაზრება, რომ ასე იოლია გაყალბება. ჩვენი აზრით, ახლანდელი სიტუაცია უარესია და რაღაც უნდა შეიცვალოს.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტორს ბრალი წარუდგინეს

საქართველოს პროკურატურამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტორს ნ.ზ.-ს სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე ბრალდება წარუდგინა.

უწყების ინფორმაციით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 8 თებერვალს, ქ. თბილისში, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“ მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროცესის მიმდინარეობისას, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ნ.ზ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ამავე ცენტრის ბენეფიციარს ნ.დ.-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით 2020 წლის 20 ივლისს დაიწყო. საქართველოს პროკურატურამ თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრალდებულ ნ.ზ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით უკვე მიმართა“ – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ბაღდათში „სპარი“ გაქურდეს

ბაღდათში სუპერმარკეტ „სპარის“ ფილიალი გაქურდეს. შემთხვევა 8 დეკემბერს ღამით გადაადგილების შეზღუდვის დროს მოხდა.

არსებული ინფორმაციით, უცნობმა პირებმა მაღაზიის კარი გააღეს და შენობაში შესვლა ამ გზით მოახერხეს. მათ თანხის წაღებაც შეძლეს, თუმცა ზუსტი ოდენობა უცნობია.

„სპარის“ ბაღდათის ფილიალის თანამშრომლების თქმით, მომხდარის შესახებ დილით შეიტყვეს. ადგილზე იმყოფებოდნენ სამართალდამცველები. დაწყებულია გამოძიება.

კასპში კომენდანტის საათის დროს მაღაზია გაქურდეს

ქურდობა მოხდა კომენდანტის საათის დროს. 8 დეკემბერს, გვიან ღამით, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ დოესში მაღაზია გატეხეს.

მომხდარის შესახებ ობიექტის მეპატრონემ დილით შეიტყო და შემთხვევის ადგილზე პოლიცია გამოიძახა.

სოფელში ამბობენ, რომ გატეხილია სწრაფი ჩარიცხვის აპარატი. ზარალის ოდენობა უცნობია. ამ დრომდე დამნაშავე იდენტიფიცირებული არ არის, გამოძიება კი ქურდობის მუხლით მიმდინარეობს.

იტალია 42 წლის ბორის წიკლაურს რუსეთს გაადასცემს

იტალიაში დაკავებული 42 წლის საქართველოს მოქალაქის ბორის წიკლაურის რუსეთში ექსტრადიციის შესახებ ბოლონიის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა.

ოჯახი საქართველოს ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებს და ამბობს, რომ ხელისუფლებამ მოქალაქე, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გაწირა – ოჯახი ამტკიცებს, რომ მას რუსეთში სიკვდილით დასჯიან.

– არანაირი ყურადღება არ მიაქციეს, რუსეთმა იმიტომ მოითხოვა მისი ექსტრადიცია, რომ თითქოს რუსეთის მოქალაქე იყო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებაში არც დაინტერესებულან, ასე იყო თუ არა, ელემენტარული ყურადღება იყო საჭირო, – ამბობენ სოფელ მატანში, სადაც ბორის წიკლაურის ოჯახის წევრები ცხოვრობენ.

ბორის წიკლაურს რუსეთი 1999 წელს ჩადენილი გაუფრთხილებლობით მკვლელობის გამო ედავება და ეძებდა. წიკლაურის ოჯახში ამბობენ, რომ უკანდახევას არ აპირებენ და იტალიის სასამართლოს გადაწყვეტილებას ევროპის სასამართლოში გააპროტესტებენ.

ბორის წიკლაური იტალიაში გასულ წელს გაემგზავრა, თუმცა იქ, ჩასვლისთანავე აეროპორტში დააკავეს და აუხსნეს, რომ წითელი ცირკულარით იყო ძებნილი. უცნობი რჩება, როგორ გაატარეს ქართველმა მესაზღვრეებმა წიკლაური იტალიაში, თუ ის მართლაც წითელი ცირკულარით იყო ძებნილი.

ოჯახში ამბობენ, რომ მრავალჯერ მიმართეს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სხვა უწყებებს, ასევე, იმ პერიოდში, როცა ბორის წიკლაური იტალიაში იმყოფებოდა პატიმრობაში, მისი გათავისუფლების მოთხოვნით საქართველოში არაერთი აქცია ჩატარდა.

კარტოგრაფების საქმეში კონტრდაზვერვის თანამშრომელი ოთარ კუპრაშვილი დაიკითხა

კარტოგრაფების საქმეში სამი ახალი ჩვენებიდან ერთ-ერთი კონტრდაზვერვის სამსახურის ყოფილი თანამშრომლის, ოთარ კუპრაშვილისაა, რომელიც კონტრდაზვერვაში 2014-2017 წლებში მუშაობდა.

მთავარი არხის ცნობით, ოთარ კუპრაშვილის ჩვენებით, მან 2015 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროდან ინფორმაცია გამოითხოვა საზღვრის დამდგენი კომისიის მუშაობის სპეციფიკასთან დაკავშირებით. მისი თქმითვე, საგარეო სამინისტრომ წერილზე არ უპასუხა და შეწყდა საქმის წარმოებაც, რომლის ფარგლებში ივერი მელაშვილიც გამოიკითხა.

კარტოგრაფების ადვოკატების თქმით, კუპრაშვილის ჩვენება არაფრის მომცემია, მათ ეჭვი აქვთ, რომ კონტრდაზვერვა და საგარეო საქმეთა სამინისტრო გაცვლილ დოკუმენტებს და საქმის დეტალებს არ ასაჯაროვებენ.

კუპრაშვილი 2015 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის მიწერილი წერილის შინაარსს თავადვე განმარტავს და ამბობს, რომ კონტრდაზვერვას საზღვრების დელიმიტაციის და დემარკაციის პროცესის მუშაობასთან დაკავშირებით ინფორმაცია იმიტომ სურდა, რომ კომისიაში თავიანთი თანამშრომელი შეეყვანათ.

„აქტუალურად იდგა საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ მომხდარიყო ჩვენი წარმომადგენლის შეყვანა სადელიმიტაციო და სადემარკაციო კომისიის შემადგენლობაში, რომლის მიზანიც იყო კონკრეტული სიტუაციის დაკვირვება, რათა არ მომხდარიყო ქვეყნის უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნა, კონკრეტული წერილი ჩემ მიერ გაიგზავნა იმ მოტივით, რომ ზოგადი ინფორმაცია მიგვეღო კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით, რათა ჩვენი წარმომადგენელი


ოფიციალური მიმდინარეობა : დაოკუმენტირებული
რეგისტრაციის მისამართი :
ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი : იგივე
ტელეფონი:
ურთიერთობა ხელმძღვანელთან:
ურთიერთობა დაზარალებულთან:
ბილი დამოკიდებულება ბასამრთლოში
ბრალეულად გამოცხადდება
გამოსაკითხ პირს გამეფრთხილა
ბოლოდროინდელ ტელეფონებში
ეფექტურ
ეფექტურ
ეფექტურ

ჯო ბაიდენმა თავდაცვის მდივნად ლოიდ ოსტინი დაასახელა

აშშ-ის არჩეულმა პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა გადამდგარი გენერალი ლოიდ ოსტინი თავდაცვის მდივნის თანამდებობაზე მის რჩეულად ოფიციალურად დაასახელა.

– მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე თავდადებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს და მრავალი საათის განმავლობაში, რაც ჩვენ ერთად გავატარეთ თეთრ სახლში და საზღვარგარეთ მყოფ ჩვენს ჯარისკაცებთან ერთად, გენერალმა ოსტინმა აჩვენა სამაგალითო ხელმძღვანელობა, ხასიათი და სარდლობა, – განაცხადა ბაიდენმა.

მისი თქმით, ის იცნობს და ენდობა გენერალ ოსტინს.

„მე ვიცნობ გენერალ ოსტინს. მე მას ვენდობი. იმიტომ, რომ მე ვიცი, როგორ რეაგირებს ის ზეწოლის ქვეშ“ – წერს ბაიდენი ტვიტერში.

სენატის მიერ დამტკიცების შემთხვევაში, ლოიდ ოსტინი პირველი შავკანიანი იქნება, რომელიც პენტაგონს უხელმძღვანელებს. ლოიდ ოსტინს 2013-2016 წლებში აშშ-ის ცენტრალური სამეთაურო შტაბის უფროსის თანამდებობა ეკავა.

ერდოღანი ბაქოში ჩავიდა

თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანს ესტუმრა. ჰეიდარ ალიევის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში მაღალი რანგის სტუმარს საპატიო ყარაულმა დახვედრა მოუწყო.

რეჯეფ თაიფ ერდოღანსა და მის მეუღლეს აეროპორტში ასევე დახვდნენ აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და სხვა ოფიციალური პირები.

ვიზიტის ფარგლებში ერდოღანი ბაქოში დაგეგმილ გამარჯვების აღლუმს დაესწრება.

ამასთან, თურქეთის პრეზიდენტი აზერბაიჯანელ კოლეგას, ილჰამ ალიევს, შეხვდება, სადაც ორი ქვეყნის ლიდერი მთიანი ყარაბაღის ოკუპაციისგან გათავისუფლების შედეგებს, ორმხრივ ურთიერთობებს და საერთაშორისო და რეგიონალურ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ.

ვიზიტის ფარგლებში სხვადასხვა ხელშეკრულებების გაფორმება იგეგმება. ერდოღანმა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამწვავების პერიოდში აზერბაიჯანის მიმართ მხარდაჭერა ღიად არაერთხელ გამოხატა.

კვიპროსში მოლები და რესტორნები იხურება

კორონავირუსის პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში კვიპროსში მოლები და რესტორნები წლის ბოლომდე დაიხურება.

– არ არსებობს კარგი შეზღუდვები, ისინი უბრალოდ საჭიროა, თუმცა, ძირითადად, უსიამოვნო, მაგრამ ადამიანების სიცოცხლე უნდა დავიცვათ. ჯანმრთელობა უპირველეს ყოვლისა, – განაცხადა კვიპროსის ჯანდაცვის მინისტრმა.

ახალი ზომები ძალაში პარასკევიდან, 11 დეკემბრიდან, შევა.

ნიკა თევზაძე

მოღალატე ცოლი გააფთრებულ ქმარს სხვენში დაემალა

ფილიპინების ქალაქ მანდაუეში მოღალატე ცოლი შეეცადა, გააფთრებულ ქმარს, რომელმაც მას საყვარელთან შეუსწრო, იაფფასიანი სასტუმროს ნომრის ჭერში დამალვოდა.

ქმარი ფილიპინებში საზღვარგარეთ ნავთობმომპოვებელი პლატფორმიდან რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ დაბრუნდა. ის განაწყენდა, როდესაც შეატყო, რომ მეუღლე ცდილობდა, მისგან თავი შორს დაეჭირა. ქალი ხშირად მიდიოდა სახლიდან დასვენების დღეებში და ამას იმით ხსნიდა, რომ სასწრაფოდ უნდა შეევლო ოფისში, სადაც ბუღალტრად მუშაობდა.

კვირა დღეს ქალი ვითომდა ისევ სამსახურში წავიდა. ქმარმა გადაწყვიტა, მისთვის ეთვალთვალა. ქალმა ტაქსი დაიჭირა, ერთ-ერთ იაფფასიან სასტუმროში მივიდა და იქ ახალგაზრდა მამაკაცს შეხვდა. მეუღლის მიერ მოტყუებულმა ქმარმა მეგობარს დაურეკა და დახმარება სთხოვა, მან კი პოლიციაში დარეკა. სასტუმროს თანამშრომლები ქმარს შიგნით არ უშვებდნენ მანამდე, სანამ ადგილზე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები არ მივიდნენ. აღსანიშნავია, რომ ფილიპინებში მეუღლის ღალატი სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება.

ქალის სავარაუდო საყვარელი შენობიდან გაპარვის მცდელობის დროს დააკავეს. როდესაც პოლიციელები ოთახში შეიჭრნენ, იქ არავინ დახვდათ, ხოლო ქალის ტანსაცმელი იატაკზე იყო მიმოფანტული, თუმცა მალე ჭერიდან ქალის ფეხსაცმელი ჩამოვარდა. გაირკვა, რომ ქალი შეეცადა, შენობის სხვენში დამალულიყო. პოლიციელებმა მის ჩამოსაყვანად კიბე მოიტანეს, მაგრამ, მიუხედავად მათი მუქარისა, ქალი ჩამოსვლაზე უარს აცხადებდა. საბოლოოდ მისი დაყოლიება მხოლოდ ქალმა-პოლიციელებმა მოახერხეს.

ოდნავ მოგვიანებით ქალი მის ქმართან ერთად პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. მამაკაცი აპირებს, ცოლსა და მის საყვარელს სასამართლოში უჩივლოს. თუ ქალის დანაშაული დამტკიცდება, მას ექვს წლამდე პატიმრობა ემუქრება.

სილამაზის კონკურსის 30 მონაწილე ხიდიდან ჭუჭყიან წყალში გადავარდა

ტაილანდის ქალაქ ჩიანგმაიში სილამაზის კონკურსის „მის ტაილანდის“ 30 მონაწილე ხიდიდან გადავარდა. ინციდენტი კონკურსის მეორე დღეს მოხდა, როდესაც გოგონები ფოტოსურათის გადასაღებად კაფეს მახლობლად დაკიდულ ხიდზე პოზირებდნენ. ბაგირებმა, რომლებსაც ხიდი ეჭირა, სიმძიმეს ვერ გაუძლეს და გაწყდა. შედეგად ხიდი ჭუჭყიან წყალში ჩავარდა.

სილამაზის კონკურსის სამი მონაწილე დაშავდა. ერთ მათგანს შუბლზე ნაკაწრები და ნაიარევები აქვს, კიდევ ორი უმნიშვნელო ნაკაწრებით გადარჩა. კაფეს მეპატრონემ, რომლის მახლობლადაც დაკიდული ხიდი მდებარეობდა, დაშავებული გოგონების მკურნალობაზე 500 ათასი ბატი გაიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თემურ ქევხიშვილი 80 წლის ასაკში გარდაიცვალა

ლოტბარი თემურ ქევხიშვილი 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. არაერთი თაობის აღმზრდელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ „საუკუნის ხმა“ უწოდა.

სამწუხარო ინფორმაცია მომღერალმა გიორგი უშიკიშვილმა ინტერნეტში გაავრცელა და განმარტა, რომ ხელოვანი კორონავირუსმა იმსხვერპლა:

– გარდაიცვალა ქართული სიმღერის ბრწყინვალე მცოდნე და ლეგენდარული მომღერალი. დასრულდა ეპოქა, რომელიც შექმნა თემურ ქევხიშვილმა.

ვუსამძიმრებ ოჯახს, მეგობრებს და ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქვეყანა და მისი ტრადიციები.

დიდი მადლობა, ბატონო თემურ, იმ დიდი საქმეებისთვის, რაც ჩვენი ქვეყნისთვის გააკეთეთ.

ლიანა მიქაშავიძესა და ჯულიეტა პაკელიანს „ქართული კულტურის ამაგდარის წოდება“ მიენიჭათ

კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის თეატრის მსახიობებს ლიანა მიქაშავიძესა და ჯულიეტა პაკელიანს ქართულ კულტურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის „ქართული კულტურის ამაგდარის წოდება“ მიენიჭათ.

უნიჭიერესი და უმშვენიერესი მსახიობების დაჯილდოება პროექტის „ეპოქა ქალის“ ფარგლებში გაიმართა, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ მწერალთა კავშირი, მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ონლაინ გაიმართება

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი პანდემიის გამო ონლაინ გაიმართება.

ინფორმაცია ფესტივალის დამფუძნებელმა ეკატერინე მაზმიშვილმა გაავრცელა:

– სექტემბერმა უჩვენოდ ჩაიარა. კი გვქონდა სექტემბრის იმედი, მერე დეკემბრის... მაგრამ არ გამოდის – პანდემია გვიტევს. ყველას და ყველგან. სამყაროს უმეტესი ნაწილი შეჩერებულია ან „დაკეტილი“. კულტურას და თეატრს გამოეცალა ცოცხალი კომუნიკაციის შესაძლებლობა, მისი მთავარი ამბავი. თეატრი უმთავრეს „საშიშ ადგილად“ გამოცხადდა პანდემიის გავრცელების გამო. საკონცერტო დარბაზებიც; საგამოფენო სივრცეებიც; მუზეუმებიც.

ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ მოვხვდით სამყაროში, სადაც არ არის არც სპექტაკლებით და კონცერტებით დატვირთული საღამოები; არც ხმაურიანი გამოფენის გახსნები; არც რეივი კლუბებში. არაფერი. არავინ იყო მზად ასეთი სამყაროსათვის. „საშიშ“ ადგილის გარეშე კი ყველაფერი მოსაწყენი და შინაარსს მოკლებული აღმოჩნდა. ერთი მხრივ, არტისტები პროფესიების შენარჩუნებისათვის იბრძვიან, ხოლო მეორე მხრივ – ადამიანები კარგავენ შესაძლებლობას ისიამოვნონ, იფიქრონ, კრიტიკულად იაზროვნონ, ფანტაზიებში დაიკარგონ. სითამამე დაიკარგა – ახალი აღმოჩენების და განსხვავებული გზების. ის სითამამე, რომელიც მხოლოდ არტისტებს შეუძლიათ, რომ შთაგვბერონ.

გამოწვევა ურთულესია და გზადაგზა ვფიქრობთ, როგორ უნდა გავუმკლავდეთ. არადა, უნდა გავუმკლავდეთ. ის, რომ მოცემულობა ასეთია, არ ნიშნავს იმას, რომ უნდა შევეგუოთ. გამოწვევას აუცილებლად უნდა ვუპასუხოთ. გაჩერება გამორიცხულია.

ამიტომაც „დროებით“ მდგომარეობაში გადავედით და ამჯერად თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს ონლაინ, ინტერნეტ სივრცეში გადავიყვანთ. საერთაშორისო და ქართული სპექტაკლების პროგრამა 15 დეკემბრიდან დაიწყება და გვჯერა, დაანონსებულ დეკემბრის სირთულეებში ოდნავ მაინც შეგახსენებთ, რომ ადამიანისათვის სიცოცხლე ყველაზე მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ვცხოვრობთ; რომ უჩვენოდ, უთეატროდ, უკონცერტოდ, უფესტივალოდ, უმხატვროდ, უმწერლოდ, უმსახიობოდ სამყარო ვერ გაძლებს; რადგან ჩვენი ცხოვრების მრავალფეროვნებისა და მაღალი ხარისხისათვის კულტურა და თეატრი გადამწყვეტია.

მაშ ასე, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი – დეკემბერი. ონლაინ!

მანანა ჩიტიშვილი ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიაზეა წარდგენილი

პოეტი მანანა ჩიტიშვილი ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო პრემიაზეა წარდგენილი.

ინფორმაცია გიორგი ფარეშიშვილმა გავრცელა:

– მანანა ჩიტიშვილი – ამ სახელსა და გვარს წარდგენა არ სჭირდება. დიდი ხანია, მისმა ლექსებმა ქართული მწერლობის, ლიტერატურული საზოგადოებისა და მკითხველის განსაკუთრებული, სრულიად დამსახურებული სიყვარული და აღიარება მოიპოვეს, თუმცა, ალბათ, ყველაზე უკეთ თვით ეს ლექსები ლაპარაკობენ საკუთარ მაღალ მხატვრულ ღირებულებასა და ავტორის ჭეშმარიტ ოსტატობაზე.

„რანაირი გაზაფხული მოვა“ მანანა ჩიტიშვილის მეათე კრებულია, ცოტა ხნის წინ რომ გამოიცა და მაშინვე მიიქცია მკითხველისა და სალიტერატურო წრეების განსაკუთრებული ყურადღება, არაერთი სამადლობელი სიტყვა თუ შექება დაიმსახურა.

ასე იყო საფრანგეთსა და ბელგიაშიც, სადაც დიპლომატიური წარმომადგენლობების ინიციატივით მოხდა ამ წიგნის წარდგენება ავტორისა და რედაქტორების მონაწილეობით. დარწმუნებული ვართ, რომ მისი ამგვარი წარმატება არავის გაკვირვებია. ცოტა ხნის წინ ჩინებული პოეტი და მკვლევარი ნინო დარბაისელი იხსენებდა, რომ მანანას პირველივე კრებული სამაგიდო წიგნად იქცა იმ პერიოდის მკითხველისთვის.

ღირსეულად განვლილი შემოქმედებითი გზა, 10 პოეტური კრებული და ამდენივე პრესტიჟული ლიტერატურული პრემია – გალაკტიონ ტაბიძის, დავით აღმაშენებლის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის, მუხრან მაჭავარიანის, ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის, ასევე საგურამოსა და შოთაობის პრემიები და სხვა, პოეტის მიერ წარმატებულად განვლილ გზაზე მეტყველებენ.

დიდი ვაჟას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად ღირსეული კანდიდატი ასევე ღირსეულმა და ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ – დიდი ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმმა წარადგინა, სადაც ამ კრებულის საჯარო განხილვა მოეწყო და ძალზე მაღალი შეფასებაც მიეცა როგორც ჩვენი ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლების, ისე მკითხველის მხრიდან.

დავულოცოთ გზა ჭეშმარიტად გამორჩეული მხატვრული თუ თემატური ღირებულებების მქონე პოეტურ კრებულს „რანაირი გაზაფხული მოვა“ და მის ავტორს, ქალბატონ მანანა ჩიტიშვილს, ქართული პოეზიის გულშემატკივართათვის ერთ მეტად საყვარელ და საფერებელ ავტორს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

შვედეთიდან შვედეთამდე

საქართველოს ნაკრები 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს გაზაფხულზე შვედებით იწყებს და შემოდგომაზე შვედებითვე ამთავრებს.

პირველი ტური, 25 მარტი: *შვედეთი-საქართველო;*
მე-2 ტური, 28 მარტი, 2021 წელი: *საქართველო-ესპანეთი;*
მე-3 ტური, 31 მარტი, 2021 წელი: *საბერძნეთი-საქართველო;*
მე-4 ტური, 2 სექტემბერი, 2021 წელი: *საქართველო-კოსოვო;*
მე-5 ტური, 5 სექტემბერი, 2021 წელი: *ესპანეთი-საქართველო;*
მე-6 ტური, 9 ოქტომბერი, 2021 წელი: *საქართველო-საბერძნეთი;*
მე-7 ტური, 12 ოქტომბერი, 2021 წელი: *კოსოვო-საქართველო;*
მე-8 ტური, 11 ნოემბერი, 2021 წელი: *საქართველო-შვედეთი.*

ფუტსალის ნაკრები საფრანგეთს დაუზავდა

საფრანგეთი-საქართველო 4:4
1:0 რამირესი, 1:1 ფილიო, 1:2 რონინიო, 1:3 ელისანდრო, 2:3 ალა, 3:3 მოჰამედი, 4:3 მოჰამედი, 4:4 საიოტი

საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა ევრო 2022-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველი მატჩი გამართა. ავთანდილ ასათიანის გუნდი სტუმრად

საფრანგეთს დაუპირისპირდა და ფრედ 4:4 დასრულდა.

შეხვედრაში ანგარიში მე-2 წუთზე რამირესმა პენალტით გახსნა და საფრანგეთი დააწინაურა. საქართველოს ნაკრებმა ტაიმის ბოლომდე უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხა, მე-17 წუთზე ალამ პენალტით სხვაობა შეამცირა, მე-20 წუთზე კი, მოჰამედიმ 40 წამში დუბლი შეასრულა და საკუთარი გუნდი დააწინაურა.

შემდეგ უპირატესობას ჩვენი გუნდი დაეუფლა და 2-წუთიან მონაკვეთში წინ გასვლაც მოახერხა: მე-8 წუთზე მეტოქის კარი რონინიომ აიღო, მე-10-ზე კი, ეროვნული ნაკრების დებიუტანტმა, ელისანდრომ გაიტანა. საქართველოს ნაკრებმა ტაიმის ბოლომდე უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხა, მე-17 წუთზე ალამ პენალტით სხვაობა შეამცირა, მე-20 წუთზე კი, მოჰამედიმ 40 წამში დუბლი შეასრულა და საკუთარი გუნდი დააწინაურა.

მე-2 ტაიმი ავთანდილ ასათიანის გუნდის უპირატესობით წარიმართა და მეტოქის კართან რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი შეიქმნა. საბოლოოდ 33-ე წუთზე სიმი საიოტიმ ანგარიში გაათანაბრა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები ევრო 2022-ის საკვალიფიკაციო ჯგუფური ეტაპის მომდევნო შეხვედრას 2 თებერვალს საკუთარ მოედანზე რუსეთის წინააღმდეგ გამართავს.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი გუნდი საკვალიფიკაციო ეტაპის ბ ჯგუფში ასპარეზობს. ავთანდილ ასათიანის გუნდის მეტოქეები კი საფრანგეთი და რუსეთი არიან. მესამე გუნდის ვინაობა, ბულგარეთი/სომხეთის წყვილში გაირკვევა. ევრო 2022-ის საკვალიფიკაციო ეტაპი 6 ტურად მომავალი წლის აპრილის ჩათვლით გაიმართება.

ლიგა რასიზმმა ჩაშალა – საქმეს უეფა გამოიკვლევს

ე ჯგუფი
ჩელსი-ერსნოდარი 1:1
0:1 კაბელა (24), 1:1 ჟორჟინიო (28პ)

ამ ჯგუფში ყველაფერი გარკვეული იყო, ამიტომაც ლონდონელებს თავი არ მოუკლავთ და მატჩი ზუსტად ისე დაამთავრეს, როგორც სურდათ.

რენი-სევილია 1:3
0:1 კუნდე (32), 0:2, 0:3 ელ-ნესირი (45, 81), 1:3 რუტერი (86პ)

სევილიამ სტუმრად რენს აჯობა, თანაც ძალიან მარტივად. თავისთავად, არც ამ შედეგს არ მოუტანია გავლენა სატურნირო ცხრილზე: ჩელსი პირველია, სევილია – მეორე, კრასნოდარი ევროპალიგაზე გადაინაცვლებს, ხოლო რენმა ევროასპარეზი დატოვა.

ფ ჯგუფი
ზენიტი-დორტმუნდი 1:2
1:0 დრიუსი (16), 1:1 პისჩეკი (68), 1:2 ვიტსელი (68)

დორტმუნდი ზენიტს ესტუმრა და აგებდა, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება მაინც მოიპოვა. შედეგად, ლუსიენ ფავრის გუნდმა ჯგუფში პირველი პოზიცია ირგუნა და მერვედფინალში უკეთესი მეტოქის მოლოდინშია.

ლაციო-ბრიუგე 2:2
1:0 კორეა (12), 1:1 ვომერი (15), 2:1 იმოგილე (27პ), 2:2 ვანაკენი (76)

გაძევება: სობოლი (ბრიუგე)

ლაციომ კი ბრიუგესთან ლამის წააგო, რაც ჯგუფში ჩარჩენად დაუჯდებოდა. სიმონე ინძაგის გუნდი 2-ჯერ იგებდა, შემდეგ რიცხობრივი უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ ბელგიელებმა ჯერ გაათანაბრეს და შემდეგ უკანმოუხედავად შეუტიეს. მსაჯის კომპენსირებულ დროში ლაციო ხარიხამ გადაარჩინა. არადა, ბრიუგეს რომ მოეგო, თავად გადიოდა მერვედფინალში. ლაციო 2000 წლის შემდეგ პირველად გავიდა ფლეი ოფში.

ამრიგად, დორტმუნდი, ლაციო, ბრიუგე, ზენიტი – ჯგუფში გუნდები ასე დალაგდნენ.

ჯ ჯგუფი
ბარსელონა-იუვენტუსი 0:3
0:1 რონალდო (13პ), 0:2 მაკენი (20), 0:3 რონალდო (52პ)

2 წლისა და 7 თვის შემდეგ ლეო მესი და კრიშტიანუ რონალდუ მოედანზე ერთმანეთს ისევ შეხვდნენ. პორტუგალიელმა პირველი მატჩი, რომელიც მისმა გუნდმა შინ 0:2 წააგო, კორონავირუსის გამო გამოტოვა. ახლა კი მოედანზე იყო, დუბლი შეასრულა და იუვენტუსმა 3:0 იმარჯვა. რონალდუმ ორივე პენალტი შეაგდო, ხოლო მათ შორის თავი ვენსტონ მაკკენიმაც გამოიჩინა.

ანდრეა პირლოს გუნდმა მაგარი ფეხბურთი აჩვენა და დამსახურებულად იმარჯვა. იუვეს პირველი ადგილი მხოლოდ ორბურთიანი მოგების და მინიმუმ 3 გოლის გატანის შემთხვევაში დარჩებოდა. ტურინელებმა ამოცანა შეასრულეს და მერვედფინალში პირველი ადგილით გავიდნენ. რონალდ კუმანის ბარსელონას კოშმარული დღეები კი გრძელდება.

დინამო (კ)-ფერენცვაროში 1:0
1:0 პოპოვი (60)

ამ მატჩს ევროპალიგის საგზურის ბედი უნდა გადაეწყვიტა, რომელიც კიევის დინამოს დარჩა. უკრაინელებმა შინ ღაშა დვალი ფერენცვაროში 1:0 დაამარცხეს. ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა, მაგრამ საკუთარ გუნდს სასურველი შედეგის მიღწევაში ვერ დაეხმარა.

საბოლოოდ გუნდები ასე დალაგდნენ: იუვენტუსი, ბარსელონა, დინამო, ფერენცვაროში.

ჰ ჯგუფი
პსჟ-ისტანბული

პარიზული გუნდი მერვედფინალში უთამაშებელი გავიდა, თუმცა მანამდე ბაშაქშეჰირთან დიდი სკანდალი მოხდა.

ისტორია კამერუნელი ვებოსთვის წითელი ბარათის ამოღებით დაიწყო: მე-16 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც არბიტრ ოვიდიუ ჰატეგანს მეოთხე მსაჯმა, სებასტიან კოლტესკუმ დაუძახა და ვებო გააგდებინა, სკამიდან არასათანადო რაღაც დაიძახაო. სწორედ აქ ჩაერია საქმეში სათადარიგო ფეხბურთელი დემბა ბა, რომელიც „საზოგადოებრივად აქტიური პიროვნება აღმოჩნდა“ და როდესაც შეიტყო, რომ მისი გუნდის ასისტენტ-მწვრთნელ ვებოს მეოთხე მსაჯმა რასისტული შეურაცხყოფა მიაყენა, იმდენი ქნა, რომ თამაში ჩაშალა – ფეხბურთელები მოედნიდან გავიდნენ. მიზეზი: ვებო რასისტულად შეურაცხყვეს.

იყო საუბარი, რომ ფეხბურთელები მოედანზე დაბრუნდებოდნენ, მაგრამ სტამბოლელებმა გამოაცხადეს, რომ სანამ თამაშს კოლტესკუ მოემსახურება, ისინი მოედანზე აღარ გავიდოდნენ. მსაჯის შემცვლელი კი, არ მოიძებნა. თურქებს მხარი აუბეს პარი სენ ჟერმენის ფეხბურთელებმაც.

უეფა აცხადებს, რომ ზედმიწევნით შეისწავლის ინციდენტს და შესაბამისად მოიქცევა.

ლიპზიგი-მანჩესტერი 3:2
1:0 ანხელინო (2), 2:0 აიდარა (13), 3:0 კლუივერტი (69), 3:1 ფერნანდესი (80პ), 3:2 პოგბა (82)

ლაიფციგმა კი მანჩესტერ იუნაიტედი გააგდო. გერმანულ გუნდს მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს და ამოცანა შეასრულა. მეტიც, გერმანელები მე-80 წუთამდე 3:0-ს იგებდნენ, მაგრამ ბოლოს მანჩესტერმა სიტუაცია დაძაბა, 2 გოლი გაიტანა, მაგრამ მეტი ვეღარ მოასწრო და ინგლისური გრანდი ევროპა ლიგაზე ითამაშებს, ლაიფციგი – ფლეი ოფში.

რუსთავიც წაუგებელია

ხუსთავი-ბათუმი 95:71
(26:16, 20:18, 24:13, 25:24)

რუსთავს 3 მატჩის შემდეგ 3 მოგება აქვს და ქუთაისის შემდეგ მეორე გუნდია, რომელსაც ჯერ წაგების გემო არ განუცდია.

ქვემოქართლელებმა ამჯერად ბათუმს უმასპინძლეს და 95:71 დაამარცხეს. ანატოლი ბოისას შეგირდებმა პირველივე წუთებიდან მოიპოვეს ხელჩასაჭიდი უპირატესობა – 17:3. ბათუმელებმა თამაში მალე დაალაგეს, სხვაობა 5 ქულამდეც შეამცირეს, მაგრამ არც რუსთავი დამცხრალა, პირველი ნახევარი დამაჯერებლად ჩაატარა და დიდ შესვენებაზე ანგარიშით 46:34 გავიდა.

12-ქულიანი სხვაობის აღმოფხვრა ერთ ტაიმში შესაძლებელია, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ სხვაობა შემცირებულიყო, მასპინძლებმა 3-ქულიანებით უპირატესობა კიდევ გაზარდეს და საბოლოოდ 24-ქულიანი უპირატესობით გაიმარჯვეს.

რუსთაველთა გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ 3-ქულიანების რეალიზების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი გახლდათ – 18-დან 11, მაშინ, როცა ბათუმელებმა 17-დან მხოლოდ 3 გამოიყენეს.

რუსთაველებს ამერიკელმა მაიკ დევისმა ულიდერა, რომელმაც 25 ქულას მოუყარა თავი. 15 ქულა მიითვალა რეზო ჩაჩანიძემ. სტუმართა რიგებში ყველაზე მეტი, 18 ქულა პეტარ არატინოვიჩმა ჩააგდო, ხოლო ნიკოლა ვუიოვიჩმა ორმაგი დუბლი შეასრულა – 12 ქულა, 10 მოხსნა.

სატჩინიო ცხრილი:

1.თსუ	7	5	2	590-567	12
2.ქუთაისი	5	5	0	466-389	10
3.ცხუმი	5	3	2	429-369	8
4.კაკეტელი	6	2	4	423-470	8
5.ვერა	6	2	4	433-487	8
6.ბათუმი	5	2	3	413-442	7
7.ოლიმპი	6	1	5	447-502	7
8.რუსთავი	3	2	0	282-218	6
9.გზავრები	5	1	4	396-425	6
10.დინამო	4	2	2	333-354	6
11.ტიტები	4	2	2	318-307	6

ᲛᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

8 დეკემბერი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ჩელსი-კრასნოდარი 1:1
რენი-სევილია 1:3
ლაციო-ბრიუგე 2:2
ზენიტი-დორტმუნდი 1:2
ბარსელონა-იუვენტუსი 0:3
დინამო (კ)-ფერენცვაროში 1:0
ლაიფციგი-მანჩესტერი 3:2

პსჟ-ბაშაქშეჰირი შეწყდა

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲓᲦᲔᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲚᲘᲒᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲒᲐᲐᲠᲙᲕᲔᲕᲡ

ეროვნული ლიგა დღეს დასრულდება. ინტრიგა რამდენიმე მატჩშია დარჩენილი.

10 დეკემბერი

საბუთალო-სამტრედია
12:30 თბილისი. მიხეილ მესხი

ამ გუნდებს საქმე მოლეული აქვთ და ახლა მხოლოდ სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე თუ იზრუნებენ. უფრო სწორად, საბურთალო თუ იზრუნებს, თორემ სამტრედია მე-7 ადგილს ვერ გასცდება.

თელავი-ტოხპედო
12:30 თელავი. კავკასიონი არენა

კახური გუნდი საბურთალოს წაფორხილებას ელოდება და თუ მოიგო, მე-5 ადგილზე გავა. დებიუტანტი გუნდისთვის კი, ეს ურიგო შედეგი ნამდვილად არ იქნება.

აღსანიშნავია, რომ თელავს ამ სეზონში მხოლოდ 2 მატჩი აქვს წაგებული – იმდენი, რამდენიც ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდებს.

დინამო (თბ)-ჩიხუა
14:00 ანგისა. ჯონი გაკურიძე

ზღვისპირელებს თუ ჩემპიონობა უნდათ, უნდა მოიგონ. მართალია, ეს შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს, მაგრამ თავისი გასაკეთებელი უნდა გააკეთონ და მეტოქის წაფორხილებას დაელოდონ.

დინამო (თბ)-მეჩანი
14:00 თბილისი. დინამო არენა

პირველობის უმთავრესი კანდიდატი თბილისის დინამოა. დედაქალაქელებს ფრეც ჰყოფნით, რომ მორიგი ტიტული გაიფორმონ. ეს რთული ამოცანა არ მოჩანს, რადგან მეტოქე უკვე დაქვეითებული მერანია, რომელსაც სეზონში ერთი თამაშიც კი არ მოუგია.

ლოკომოტივი-ფილა
18:30 თბილისი. მიხეილ მესხი 2

ტურის ცენტრალური მატჩი. ორივე გუნდი ევროტურნირების საგზურისთვის იბრძვის. ფილას მხოლოდ მოგება აწყობს, სხვა შემთხვევაში კონფერენს ლიგაზე ლოკომოტივი გავა.

მიმდინარე სეზონში ორივე კარგი გუნდია. სიურპრიზი და სენსაცია არც ერთი შედეგი არ იქნება, მაგრამ უპირატესობას მაინც ლოკომოტივს მივანიჭებთ.

სატჩინიო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	17	11	4	2	30-9	37
2.დინამო (ბთ)	17	10	5	2	29-14	35
3.ლოკომოტივი	17	8	5	4	29-21	29
4.ფილა	17	7	6	4	27-16	27
5.საბურთალო	17	6	6	5	26-20	24
6.თელავი	17	4	11	2	20-13	23
7.სამტრედია	17	5	4	8	13-21	19
8.ტორპედო	17	4	4	9	16-29	16
9.ჩიხურა	17	3	3	11	18-40	12
10.მერანი	17	0	6	11	6-31	6

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

ᲯᲭᲝᲡᲕᲝᲩᲘᲚᲘ Ბ



შვეულად: 2. წინასწარმეტყველი ძველ რომსა და საბერძნეთში; 3. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 4. პირადი წვრილმანი ინტერესებით მცხოვრები ადამიანი; 5. შუადღის საუზმე ამერიკაში; 6. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი; 8. განსაკუთრებული წესით დამზადებული ცხვრის ყველი; 11. გერმანული საგმირო ეპოსი; 14. საკუთარი სახელების შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 15. ისტორიული ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 16. მუსიკალური ბგერის ნახევარი ტონის ამაღლება ან დადაბლება; 17. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. გამოგონების დამადასტურებელი დოკუმენტი; 21. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა; 22. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში.

თარაზულად: 1. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. მზის სადიდებელი სვანური სიმღერა; 7. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 9. ქართველი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 10. ქალაქი სამეგრელოში; 12. სიმჟავეების ჭარბი შემცველობა სისხლსა და ორგანიზმის ქსოვილებში; 13. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 16. ოპერა „აიდას“ პერსონაჟი; 17. ცხვრის ხორცისგან მომზადებული აზერბაიჯანული წვნიანი კერძი; 18. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 20. პატარა ქირურგიული დანა; 22. დამარილებული ღორის ქონი; 23. დოკუმენტების სარეგისტრაციო დავთარი; 24. ოთხფეხა შინაური ცხოველი; 25. ჯაკომო პუჩინის ოპერა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კურვუაზიე; 2. შეიკერი; 3. დილეგი; 4. კლოპი; 5. ღვინიო; 11. ბომბეი; 12. კეხანა; 14. დალი; 16. რონდელი; 17. იშტვანი; 19. თერაპია; 21. მტილი; 22. ტესლა.

თარაზულად: 6. ლუციფერი; 7. პულკოვო; 8. პიტნა; 9. მუხაძე; 10. გერბი; 13. წინდა; 15. კრომბახერი; 18. თიანეთი; 20. შუნი; 21. მოხერი; 23. მიკროსკოპი; 24. ნოველა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. აკაპელა; 3. ნეისმიტი; 4. ალიგატორი; 5. კომლი; 6. ესკიმო; 8. ჩაროზი; 11. ბალზამი; 14. იმპერატივი; 15. ვესტერნი; 16. ობლიგაცია; 17. ტაბორი; 19. პაგანინი; 21. კოლიო; 22. თლაშო.

თარაზულად: 1. მაგნოლია; 5. კარე; 7. ლაჩარი; 9. კაპიტოლიუმი; 10. კაბერნა; 12. ამილაზა; 13. დიონისე; 16. ოსმალეთი; 17. ტუში; 18. სპორა; 20. კარაბინი; 22. თერგი; 23. პალერმო; 24. ციცარი; 25. იგავი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

10 დეკემბერი

აშშ დოლარი — 3.2910

ევრო — 3.9847

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3672

100 რუსული რუბლი — 4.4244

ამინდის პროგნოზი 10 დეკემბრისათვის

ანუკი არეშიძე კოსმეტიკის ხაზს გამოუშვებს

დიზაინერმა ანუკი არეშიძემ გადაწყვიტა, სამოსისა და აქსესუარების შემდეგ, კოსმეტიკის ხაზიც გამოუშვას.

ინფორმაცია ამის შესახებ ინტერნეტში თავად დიზაინერმა დააანონსა. ანუკისგან შეთავაზებულ სიახლეს საზოგადოების უმეტესობა დადებითად შეხვდა. უმრავლესობამ აღიარა, რომ ანუკი ყოველთვის გემოვნებიანად იცვამს, არაჩვეულებრივად გამოიყურება, მინიმალურ მაკიაჟს იყენებს, ამიტომაც მისი კოსმეტიკის ხაზს ქალბატონები განსაკუთრებული ინტერესთი დაელოდებიან.

ნინო სუხიშვილი: „ილიკო ძალიან ნიჭიერია — არ შემეშინდება ამ სიტყვის თქმა“

ანსამბლ „სუხიშვილების“ ხელმძღვანელი ნინო სუხიშვილი თავის ძმაზე ილიკო სუხიშვილზე საუბრობს და მას ძალიან ნიჭიერს უწოდებს:

– ილიკო ძალიან ნიჭიერია – არ შემეშინდება ამ სიტყვის თქმა, თუმცა, ცოტა უხერხულია და ილიკოს არ უყვარს, როცა ვაქებ. მე ვთვლი, რომ ილიკო ყველაზე ნიჭიერია ჩვენს ოჯახში. ძალიან აფეთქებული და მრავალმხრივი ნიჭი აღმოაჩნდა, არამარტო ქორეოგრაფიული, მუსიკალურიც.

ძალიან სწორი ადამიანია. რენტგენივით არის, ზუსტად გრძნობს მეორე ადამიანს. აქედან გამომდინარეობს მისი დამოკიდებულება სხვების მიმართ – ვისთან არის გულახდილი, ვისთან კიდევ კედელს აიფარებს.

თანაც, ხასიათის ადამიანია. დღეს ასეთ ხასიათზეა და ასე იქცევა. ხვალ ისეთ ხასიათზეა და ისე იქცევა. „რამიშვილების“ აღდგენა შეიძლება ხვალ აღარ მოუნდეს და აღარ აღადგინოს. სამაგიეროდ, რაღაც ახალს გააკეთებს. შემოქმედებითი წვა აქვს ქრონიკულად, თან ძალიან დაკვირვებულია. მაგრამ მისი მთავარი თვისება ის არის, რომ საოცრად თავმდაბალია.

იუმორი

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– მე შენზე ვზრუნავდი! როდესაც ცუდად იყავი, წვნიანი მოგიმზადე!

– შენ რამე ხომ არ გეშლება?

– რა?

– რა და შენ ჯერ წვნიანი მომიმზადე და შემდეგ გავხდი ცუდად!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, ევროპასა და სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში სპეცსიგნალებიანი მანქანებითა და ესკორტის თანხლებით მხოლოდ მძიმე ავადმყოფები და დამნაშავეები გადაჰყავთ.

– პრინციპში, ჩვენთანაც მასეა, სპეცსიგნალებიანი მანქანებითა და ესკორტის თანხლებით მხოლოდ მძიმე ავადმყოფები და დამნაშავეები გადაჰყავთ...

•••

დილის ოთხ საათზე აფთიაქში სახემოღუშული მამაკაცი შედის და გამყიდველს ეუბნება:

– უძილობის საწინააღმდეგო რაიმე საშუალება მომეცით!

– რომელი?

– ფეხმძიმობის დასადგენი ტესტი.

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ დავანებო თავი ღამით ჭამას?

– შემიძლია, მოგიყვე.

– მოყოლა მეც შემიძლია და თავი როგორ დავანებო?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გრიზმანი: „თამაშის ხარისხი უნდა გამოვასწოროთ“

ბარსელონა საკუთარ მოედანზე ტურინის იუვენტუსთან 0:3 დამარცხდა და ჯგუფში მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა. მატჩის შემდეგ ანტუან გრიზმანმა კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ბარსელონამ თამაშის ხარისხი უნდა გამოასწოროს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალშიც პრობლემები იქნება:

– პირველ ტაიმში არაფერი გამოგვდიოდა და მეტოქემ აშკარად გვაჯობა. მეორე ნახევარში თამაშის ხარისხი გამოვასწორეთ, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მომავალში ბევრად უკეთესად უნდა გავირჯეთ მოედანზე, თუ გვინდა, რომ სეზონში რამეს მივაღწიოთ.

ალვარო მორატა: „იუვენტუსმა თავისი ძალა აჩვენა“

ტურინის იუვენტუსის ფორვარდმა ალვარო მორატამ ბარსელონასთან მატჩზე ისაუბრა და თქვა, რომ ამ შეხვედრაში ნათლად გამოჩნდა იუვენტუსის ძალა და მომავალში ტურინული გუნდი კიდევ უფრო მეტად მოუმატებს:

– სატურნირო ცხრილის მიხედვით ამ მატჩს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ბარსელონას დამარცხება, განსაკუთრებით მის მოედანზე, ძალიან სასიამოვნოა. იუვენტუსმა ყველას დაანახა პოტენციალი და ვიცით, რომ ჩვენ გაცილებით მეტი შეგვიძლია.

დავიდ ალაბა ზაფხულში ბაიერნს დატოვებს

მიუნხენის ბაიერნის ავსტრიელი ნახევარმცველი დავიდ ალაბა დიდი ალბათობით ზაფხულში გუნდს დატოვებს, რადგან ის ბაიერნის შემოთავაზებულ კონტრაქტზე უარს ამბობს, მიუნხენელები კი სხვა პირობების შეთავაზებას არ აპირებენ.

ალაბას შეძენა საკმაოდ ბევრ გუნდს სურს, მათ შორის ბარსელონას და მანჩესტერ სიტის. შესაძლოა ალაბა სამშობლოშიც დაბრუნდეს, თუმცა ამის შანსი დიდი არ არის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

კიმ კარდაშიანი საკუთარგამოსახულებიან კაბაში გამოეწყო

რეალითი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ ვარსკვლავმა და მეწარმემ კიმ კარდაშიანმა სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა საკუთარი ახალი ფოტოსურათები, რომლებშიც ის საკუთარგამოსახულებიან კაბაში გამოწყობილია აღბეჭდილი და ამით ხელმომწერთა გაღიზიანება გამოიწვია.

ინსტაგრამში გამოქვეყნებულ კადრებში 40 წლის კარდაშიანი ზურგზე შეკრული საკუთარი სახის გამოსახულებიანი ზეწრით პოზირებს, რომელიც ბრეტელების გარეშე მინი-კაბას წააგავს. ფოტოსურათებისთვის თანდართულ კომენტარში ბიზნესლედიმ საკუთარი ბრენდის KKW-ს ახალი ხაზის თაობაზე განცხადება გააკეთა, რომელიც მისივე დაბადების დღისადმია მიძღვნილი. სოციალური ქსელების მომხმარებლებმა ტელევარსკვლავი მკაცრად გააკრიტიკეს და მას ნარცისიზმში დაადანაშაულეს.

– არ მეგულება ვინმე სხვა ადამიანი, რომელიც საკუთარ თავით ასე იყოს შეპყრობილი, როგორც ეს ქალია, – დაწერა ერთ-ერთმა ხელმომწერმა.

– ეშმაკმა დალახვროს, ის რომ პუდინგი ყოფილიყო, საკუთარ თავს შეჭამდა, საკუთარ თავზე ასე გაგიჟებული ჯერ არავინ ყოფილა, – აღნიშნა მეორემ.

– ეს, როგორც ჩანს, ნარცისიზმის ახალი დონეა, – განაცხადა მესამემ.

მუზეუმებსა და ნაკრძალებში ვიზიტორთა დაშვება იზღუდება



ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიური ვითარების წარმოქმნის გამო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა მუზეუმსა და მუზეუმ-ნაკრძალში ვიზიტორთა დაშვებას დროებით ზღუდავს. დადგენილი რეგულაციების შესრულებისა და ეპიდემიოლოგების რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით, ეროვნული სააგენტო მოქალაქეებს და ტურისტულ კომპანიებს დაგეგმილი ვიზიტებისა და ტურების გადავადებისკენ მოუწოდებს. მუზეუმ-ნაკრძალების ადმინისტრაციის თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსწორებისა და ეპიდემიური მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ, ეროვნული სააგენტოს სტრუქტურულ დაქვემდებარებაში მყოფ მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში დამთვალიერებელთა მიღება, სამედიცინო უსაფრთხოების დადგენილი წესების გათვალისწინებით, ჩვეულ რეჟიმში განახლდება. სამუზეუმო სივრცეების გახსნის შესახებ განცხადებას სააგენტო წინასწარ გაასაჯაროებს.

– თავიდან ავიცილოთ ვირუსის ფართომასშტაბიანი და უკონტროლო გავრცელება! – ასეთია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გზავნილი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მამაკაცი ძაღლის გადასარჩენად დათვს შეებრძოლა

ამერიკელი კალებ ბენჰამი შეებრძოლა დათვს, რომელიც მის ძაღლს სახელად ბადის თავს დაესხა. მან მტაცებლის დამარცხება და საყვარელი ცხოველის გადარჩენა მოახერხა.

ბენჰამის თქმით, მას სახლის მახლობლად, სადაც მისი პიტბული იმყოფებოდა, უცნაური ხმები შემოესმა. ქუჩაში გასულმა დაინახა, თუ როგორ მიათრევდა დათვი თავით მის ძაღლს.

– მე მისკენ გავიქეცი და დათვს შევასკდი, მას ხელი ვტაცე, ცალი ხელი ყელში წავუჭირე, მეორეთი კი ცხვირ-პირსა და თვალებში ცემა დავუწყე, სანამ მან ბადის თავი არ დაანება, – განაცხადა ამერიკელმა.

მტაცებელთან ორთაბრძოლაში ბენჰამი არ დაშავებულა, მაგრამ მის ძაღლს კი დახმარება დასჭირდა. ვეტერინარებმა პიტბულს ოპერაცია გაუკეთეს, თავში სპეციალური ფირფიტები ჩაუდგეს და ნაკერები დაადეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

10 დეკემბრისათვის

ვერძი – სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ ძლიერია. ჩანაფიქრის რეალიზებას უპრობლემოდ მოახერხებთ. **კურო** – დღის დევიზია მაქსიმალური თავშეკავება. კონფლიქტის თავიდან აცილებას მხოლოდ ამგვარად მოახერხებთ. **ტყუპები** – თუ გსურთ, მიზანს მიაღწიოთ, არ იზარმაცოთ. ყველაფერი მხოლოდ თქვენს შრომისმოყვარეობაზეა დამოკიდებული. **კირჩხიბი** – დღეს უნიკალური შანსი გეძლევათ, ოცნებები აიხდინოთ. ხშირად გაიღიმეთ. **ლომი** – პირად ცხოვრებაში ცვლილებები შეინიშნება. მთავარია, სადმე შეცდომა არ დაუშვათ. **ქალწული** – ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობის უნარი გჭირდებათ. **სასწორი** – მეგობრები დაუფიქრებლად დაგეხმარებიან. იყავით გახსნილი, მშვიდი, ერიდეთ კამათში ჩართვას. **ღრიანკალი** – დღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. ეცადეთ, სულიერი წონასწორობა შეინარჩუნოთ. **მშვილდოსანი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. პირად ცხოვრებაში დაძაბულობა იჩენს თავს. გარშემმყოფებს მეტი სითბო აჩუქეთ. **თხის რქა** – ელოდეთ სასიამოვნო სიურპრიზს. შესაფერისი დღეა პირად ცხოვრებაში ცვლილებების შესატანად. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა. წვრილმან უსიამოვნებებს ყურადღებას ნუ დაუთმობთ. **თევზები** – მშვიდად იმუშავეთ. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. თქვენი რჩევები დღეს არავის სჭირდება.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. ცხენების შემსწავლელი დისციპლინა; 2. მდინარე ახალციხეში; 3. ლუდის მწარმოებელი ირლანდიური ფირმა; 4. კათოლიკური ჯვარი; 5. მთიანეთი ევროპაში; 11. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 12. პოპულარული ქართული სიმღერა; 14. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 16. ჩინეთში წარმოშობილი ქაღალდისგან ფიგურების შექმნის ხელოვნება; 17. კინოთეატრი თბილისში; 19. რომელიმე ენის სიტყვების მარაგი; 21. ხელოვნური წყალსაცავი რაჭაში; 21. უბანი თბილისში.

თარაზულად: 6. მეშახტეთა შორის გავრცელებული ფილტვების სპეციფიკური დაავადება; 7. თაღლითის ძველი ქართული სახელწოდება; 8. პროფესიონალი ცხენოსანი; 9. ბრიტანული ფარმაცევტული კომპანია; 10. გარკვეული ვადითა და პირობებით გაცემული თანხა; 13. პოპულარული ტანსაცმელი; 15. გერმანიაში გამოყვანილი სამომსახურეო ჯიშის ძაღლი; 18. ლატვიელი ესტრადის მომღერალი ქალი; 20. უმარილო ხმიადი, რომელსაც ებრაელები ამზადებენ სააღდგომოდ; 21. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 23. ჯარების განლაგება ქვეყნის ტერიტორიაზე; 24. ქართული ხალხური შრომის სიმღერა.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა